ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ოršაბათი, 11 სექტემბერი, 2017 | №215 (7450) | ფასი: 50 თეთრი

## კიევში რუსლან პაპასკირი, მეტსახელად „ზონა“, ააფეთქეს



## 7 სექტემბრიდან



რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

# შევარდნაძეს არ ეშინოდა ჩემი ისე, როგორც პოროშენკოს ეშინია

სააკაშვილმა საზღვართან კორდონი გაარღვია და მომხრეებთან ერთად უკრაინაში შევიდა





გვ.2



„შიმშილობის დაწყებას ნამდვილად არ ვაპირებ. მადლობა პოროშენკოს მოქალაქეობის ჩამორთმევისთვის, მე სადღაც 17 კილოგრამამდე დავიკელი"



„მინდა, ყველა მოვიკითხო საქართველოში. მე ახლა მივდივარ უკრაინაში, მაგრამ ერთი სული მაქვს, როდის ჩამოვალ საქართველოში. ჩემთვის ეს არის ცხოვრების მიზანიც, ისევე, როგორც უკრაინის დახმარება ახლა“



გვ.4

## დავით ნემსაძე: „მინდია ჯანელიძეს იმიტომ ებრძვიან, რომ ნაციონალობას ანატომიურად ვერ იტანს“

## თამაზ დარჩიძე: „სახელმწიფომ ბოტანიკური ბაღის განსაკუთრებული როლი უნდა აღიაროს“



გვ.5

## მარტოკაცი ანდაქიდან

გვ.4





ერთი ბილიკა გვინდა, გზას ხომ არ ვითხოვთ



გვ.6

## ლევან დავითაშვილი: „ყურძნის ფასი მაღალი იქნება“

## „ანაგი“ – კომპანია, რომელიც ქუთაისის აეროპორტში ახალ ტერმინალს ააშენებს



გვ.6



## რეინვესტიცია 3.5-ჯერ გაიზარდა და 355 მლნ დოლარი შეადგინა

## რა ღირს თბილისში კომერციული ფართები



გვ.6

ISSN 1987-9385

2017, 11 სექტემბერი, №215

შორენა მარსაგიშვილი

# შევარდნაძეს არ ეშინოდა ჩემი ისე, როგორც პოროშენკოს ეშინია



## სააკაშვილმა საზღვართან კორდონი გაარღვია და მომხრეებთან ერთად უკრაინაში შევიდა

**გუშინ, 10 სექტემბერს, მთელი საქართველოს ყურადღება უკრაინა-პოლონეთის საზღვრისკენ იყო მიპყრობილი. საქართველოს მესამე პრეზიდენტმა, რომელიც ახლა უკრაინის ხელისუფლების მთავარი თავისტკივილია, მისი გადალახვა რამდენიმე დღის წინ დაანონსა.**

მიხეილ სააკაშვილმა კონკრეტული მარშრუტიც დაასახელა და თქვა, რომ უკრაინაში კრაკოვეციდან შევიდოდა.

ოფიციალურმა კიევმა კრაკოვეცის გამაგრება 7 სექტემბრიდან დაიწყო. იქ გაავლეს მავთულხლართები და ჩაიყვანეს სამხედრო ტექნიკა.

9 სექტემბერს კრაკოვეცს ჩვენებურის მომხრეებიც მიადგნენ. მათ კარვები გაშალეს და ასე დაელოდნენ კერპს.

მათ გარდა, საზღვარზე სააკაშვილის მოწინააღმდეგეებიც ჩავიდნენ. ნაპრეზიდენტალის მომხრეების თქმით, პოროშენკომ ტიტუშკები სიტუაციის ასარევად ჩაიყვანა.

გუშინ, 10 სექტემბერს, ვარშავაში გამართულ პრესკონფერენციაზე სააკაშვილმა მის მომხრეებზე განხორციელებულ თავდასხმაზე ისაუბრა, აღნიშნა, რომ ათასობით მის მომხრეს თავს რამდენიმე ასეული ტიტუშკა დაესხა.



— იმ ბანაკს, სადაც მრავალი ათასი ადამიანია შეკრებილი, თავს დაესხა რამდენიმე ასეული ტიტუშკა. რაც მეტ ასეთ საჩუქარს გაგვიკეთებენ, უკეთესია. ეს ხალხი ყველაფერს აკეთებს, ფულიც აამოქმედეს, შანტაჟიც, ეშინიათ, ვინმე რომ არ დაემორჩილოს მათ ბრძანებებს. უკრაინის სახელმწიფო აპარატი არ არსებობს. ეს არის, დაახლოებით, შევარდნაძის დროინდელი აპარატი, სადაც ყველაფერი ფულსა და კორუფციაზე იყო დაფუძნებული. მე მშვიდად ვარ, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

უკრაინული მედიის ინფორმაციით კი ადგილობრივმა სამართალდამცავებმა ტიტუშკები მაშინ დააკავეს, როცა ისინი საზღვრის მიმართულებით მიდიოდნენ. ისინი სამხედრო ფორმებში იყვნენ გამოწყობილნი.

სამართალდამცავების ვარაუდით, ისინი საზღვართან პროვოკაციების მოწყობას აპირებდნენ.

— უკრაინულმა პოლიციამ ისინი შემოწმების მიზნით დააკავა და პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანა. ამჟამად დგინდება მათი ვინაობა და საზღვრის მიმართულებით გადაადგილების მიზანი. შემოწმების დროს ზოგიერთ მათგანს აღმოაჩნდა გაზის ბალონები, სასტარტო პისტოლეტი და ლითონის ნივთები, — ნათქვამია პოლიციის განცხადებაში.

ტიტუშკებისა და მხარდამჭერების გარდა, სააკაშვილს საზღვართან ფემენის თითქმის შიშველი აქტივისტიც ელოდა.

თითქმის შიშველ გოგონას ხელში მიხეილ სააკაშვილისა და პეტრო პოროშენკოს ფოტოები ეკავა. ფოტოებს გოგონას შიშველ მკერდზე შემდეგი წარწერა ამშვენებდა — სულელები საზღვრების გარეშე.

შიშველი აქტივისტის დაკავება ათამდე ჯან-ღონით სავსე პოლიციელმა ცადა, მაგრამ გოგონა გაიქცა და თავს ღობეზე გადახტომით უშველა.

ეს გაქცევა დროებითი აღმოჩნდა. სამართალდამცავებმა ის მაინც დააკავეს. მის დაცვას სააკაშვილის მომხრეები შეეცადნენ, რომლებსაც იქ ბანაკი ჰქონდათ გაშლილი.

### „მოვუვლით ივანიშვილს, რაც უნდა ყირაზე გადავიდნენ მთელი სამყაროს ოლიგარქები“

მართალია, სააკაშვილის მთავარი სამიზნე მისთვის მოქალაქეობის ჩამომრთმევი პეტრო პოროშენკო იყო, მაგრამ მოკითხვის გარეშე არც საქართველოს ხელისუფლება დაუტოვებია. განსაკუთრებული ყურადღება ბიძინა ივანიშვილის მიმართ გამოიჩინა.

ბოლო დღეებში ნაპრეზიდენტალი მასზე ძალიან ხშირად საუბრობს, ამბობს, რომ საქართველო მისი მთავარი საზრუნავია და პირობას დებს, რომ ივანიშვილს მოუვლიან, სჯერა, რომ ის პროცესები, რომლებიც დღეს უკრაინაშია, მის ისტორიულ სამშობლოშიც დაიწყება.

— ასეთი გაერთიანება არ მომხდარა მრავალი წელი. მე ვფიქრობ, ეს არის მაგარი ნიშანი უკრაინისა და საქართველოსთვის, რადგან საქართველოსთვისაც ეს არის ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში. მე, რა თქმა უნდა, როცა მაქვს კონცენტრირება უკრაინაზე, ერთი წუთით არ ვასუსტებ ყურადღებას საქართველოზე. ამის იმედი ნუ ექნებათ, რადგან ჩვენ ერთი მტრები გვყავს. ივანიშვილი საქართველოს მტერია, ის ასევე უკრაინის მტერია, მოვუვლით მას, რაც უნდა ყირაზე გადავიდნენ მთელი სამყაროს ოლიგარქები, — აღნიშნა ვარშავაში მყოფმა სააკაშვილმა რუსთავი 2-თან საუბარში.

სათანადო პატივი მან პეტრო პოროშენკოსაც მიაგო. მისი სიტყვები თუ სიმართლეს შეეფერება, უკრაინის პრეზიდენტის მადლიერიც კი უნდა იყოს.

### „შიმშილობის დაწყებას ნამდვილად არ ვაპირებ. მადლობა პოროშენკოს მოქალაქეობის ჩამორთმევისთვის, მე სადღაც 17 კილოგრამამდე დავიკელი“

გავრცელებული ინფორმაციით, სააკაშვილი შიმშილობის აქციის დაწყებას აპირებდა, თუ მას საზღვარზე არ გაატარებდნენ. ჩვენებურმა ბრძოლის ეს ფორმა კატეგორიულად გამორიცხა და ამბობს, რომ მოქალაქეობის წარკვეთის შემდეგ წონაში ისედაც დაიკლო.

— შიმშილობის დაწყებას ნამდვილად არ ვაპირებ. მადლობა პოროშენკოს მოქალაქეობის ჩამორთმევისთვის, მე სადღაც 17 კილოგრამამდე დავიკელი, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილი არავის დამხობას არ აპირებს, ამბობს, რომ მისი მიზანი უკრაინაში ჩასვლა და სასამართლოს გზით უფლებების დაცვაა.

— მთავარი ამათი გეგმაა არშეშვება, მაგრამ ეშინიათ მათი სახელმწიფო აპარატის იმიტომ, რომ ამ სახელმწიფო აპარატს აქვს დაბალი მორალი, როგორც შევარდნაძის დროს იყო, ყველაფერი არის კორუფციაზე.

პოროშენკო რატომღაც თვლის, რომ მე თუ შევედი უკრაინაში, ის დაემხობა. რაღაც ზედმეტი წარმოდგენა აქვს ჩემზე, მაგრამ ასე თვლის, ვინ ჩააგონა, არ ვიცი. შევარდნაძეს არ ეშინოდა ჩემი ისე, როგორც პოროშენკოს ეშინია.

მე არავის დამხობის გეგმა არ მაქვს. ჩემი გეგმა არის ჩასვლა, სასამართლოში ჩემი უფლებების დაცვა, ექსცესების გარეშე... ტრიალ მინდორში ამდენი ათასი ადამიანი რომ მოვიდა, ქალაქში რომ ჩავაღწიო, რამდენი მოვა, — განაცხადა სააკაშვილმა რუსთავი 2-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

ნაპრეზიდენტალს პოლონეთში ქართული მედიის ნაწილი შემოელანძღა.

ის თავიდან ავტობუსით აპირებდა კრაკოვეცთან წასვლას. ამ ავტობუსში საზოგადოებრივი მაუწყებლისა და იმედის ჟურნალისტებისთვის ადგილი არ აღმოჩნდა.

ეს ამბავი მათ მიხეილ სააკაშვილთან გააპროტესტეს, მისგან კი ასეთი პასუხი მიიღეს:

— თქვენ ხართ ივანიშვილის აგენტები... თქვენ ჟურნალისტები არ ხართ, მე ველაპარაკები მხოლოდ თავისუფალ მედიას. თქვენ ისეთივე თავისუფალი მედია ხართ, როგორც მე — კიტრი.

### შეცვლილი მარშრუტი და ვაგონი №5

დაპირებისამებრ, საქართველოს მესამე პრეზიდენტი უკრაინაში ავტობუსით უნდა დაბრუნებულიყო. ავტობუსში ასვლამდე მან ევროპარლამენტარებთან გამართა შეხვედრა.



ჩვენი ვიცესპიკერის ძალიან გარე ბიძაშვილმა საირუშ ვოლსკიმ თავადაც გადაწყვიტა უკრაინაში წასვლა.

საირუშ ვოლსკის გარდა, მას მხარს უკრაინის ყოფილი პრემიერი იულია ტიმოშენკოც უმშვენებდა. კრაკოვეცისკენ ჰქონდათ აღებული გეზი ჩვენებურის მეუღლე სანდრა რულოვსსა და უმცროს შვილ ნიკოლოზს.

ბოლო მომენტში სააკაშვილმა უკრაინაში დაბრუნების მარშრუტი შეცვალა და ავტობუსის ნაცვლად მატარებლით გადაწყვიტა მგზავრობა.

სააკაშვილი ევროპელ პოლიტიკოსებთან და რადას დეპუტატებთან ერთად „ინტერსიტის“ მატარებელში განთავსდა. საირუშ ვოლსკიმ მასთან ერთად №5 ვაგონი დაიკავა. რამდენიმე საათის შემდეგ მათ ეს ვაგონიც დაატოვებინეს და მატარებელიც.

დაბრუნების მარშრუტის შეცვლამ მისი მომხრეების გეგმებიც შეცვალა. მათ კრაკოვეცთან გაშლილი კარვები აკეცეს და მატარებლის სადგურისკენ აიღეს გეზი. ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორის გამოჩენას ისინი მოსტისკას სადგურთან ელოდნენ.

აღმოჩნდა, რომ მათი ლოდინი ამ ფრონტზეც ამაო გამოდგა. პოლონეთის ხელისუფლებამ იმ მატარებლის გაშვებაზე უარი თქვა, რომელშიც სააკაშვილი იმყოფებოდა.

თავიდან ჩვენებურს იმედი ჰქონდა, რომ მატარებელი დაიძვრებოდა.

— უკრაინის წინააღმდეგობის მიუხედავად, მატარებელი, რომელშიც სააკაშვილი იმყოფება, უკრაინაში მაინც გაემგზავრება, — აღნიშნა მან.

საქმეში საირუშ ვოლსკიც ჩაერია, მაგრამ ამაოდ. სადგურის ადმინისტრაცია შეუვალი აღმოჩნდა. მისი წარმომადგენლების განცხადებით, პოროშენკოს ბრძანებით, მატარებელს სადგური არ მიიღებდა, თუ მასში მიხეილ სააკაშვილი იქნებოდა.

რამდენიმესაათიანი ლოდინის შემდეგ ოდესის ოლქის ყოფილმა გუბერნატორმა მატარებელი დატოვა.

მატარებლიდან ჩამოსულმა სააკაშვილმა პოროშენკოს ხელისუფლებას გაახსენა მუქარა და მისი შესრუ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ჯეჯელავა აბიტურიენტებს შეურაცხყოფას აყენებს და მაიმუნებს ადარებს“

## რას მოიტანს ბარიერის აწევა ეროვნულ გამოცდებზე



– განათლების მინისტრი და ვიცეპრემიერი თავის ამპლუაშია. ჯეჯელავა ქართველ აბიტურიენტებს შეურაცხყოფას აყენებს – ასე აფასებს განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი ალექსანდრე ჯეჯელავას იმ განცხადებას, რომ „3 წლის წინ ეროვნული გამოცდების ბარიერი 21 ქულა იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ 3 მაიმუნი რომ შეგეშვა და უბრალოდ შემოეხაზათ, ერთი მაინც ჩააბარებდა“.

შაშკინი ამბობს, რომ ჯეჯელავა თავისი განცხადებებით ცდილობს, ალბათობის თეორიით საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს. ყოფილი მინისტრი აცხადებს, რომ ეროვნული გამოცდების ბარიერის აწევა ოჯახებს მძიმე ფინანსურ ტვირთად დააწვება, იმ ფონზე, როცა რეპეტიტორებთან მომზადება საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. დიმიტრი შაშკინი ფიქრობს, რომ ჯეჯელავას ასეთი განცხადება დღეს სააკაშვილის ირგვლივ მიმდინარე პროცესების მედიაში გადაფარვის მორიგი მცდელობაა.

– ჩემი ვარაუდია, ალექსანდრე ჯეჯელავა ცდილობს, თავისი განცხადებებით ქართული მედიისთვის გადაფაროს მიხეილ სააკაშვილის დაბრუნება უკრაინაში, რადგან ამ დროს ასეთი უგუნური განცხადებების გაკეთება და კიდევ ერთხელ თქმა იმისა, რის გამოც ნებისმიერი პროფესიონალი დაგცინებს, ერთადერთი რამე შეიძლება ვიფიქროთ, რომ საზოგადოებაში ცდილობს გადაფაროს ასეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფაქტი, – ამბობს შაშკინი.

ყოფილი მინისტრი მოქმედ მინისტრს სიცრუეშიც ამხელს.

– ჯეჯელავა იტყუება, როდესაც საუბრობს ალბათობის თეორიაზე. ის ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება, რაც მას ყოველთვის სჩვევია, ვითომ ჭკვიანური წინადადებებით შეფუთოს მავნებლური იდეები. ალბათობის თეორია არ არის კანონი, ის არის თეორია და ამის მიხედვით ეროვნული გამოცდების ბარიერის აწევა არის, როგორც მინიმუმ, მავნებლობა და განათლების მინისტრისგან არაპროფესიული არგუმენტი. ალბათობის თეორია რომ კანონზომიერება იყოს, კაზინოში ყველა მოვიგებდით. გარდა ამისა, განათლების მინისტრმა ქართველი აბიტურიენტები მაიმუნებს არ უნდა შეადაროს.

ალბათობის თეორიიდან გამომდინარე, დასაშვებია, რომ სწორი პასუხის შანსი იყოს 20-დან 25%-მდე ანუ თუ არის 20 ქულა, სამმა ადამიანმა რომ დააჭიროს ერთსა და იმავე პასუხს, იქიდან ერთი ჩააბარებს. შეკითხვას აქვს 4 პასუხი. ერთ-ერთი ამ ოთხიდან არის სწორი. ის ამბობს, რომ რადგან ერთ-ერთი არის სწორი, ეს ნიშნავს, რომ 3-დან ერთმა სწორად უნდა უპასუხოს, მაგრამ, ხომ შეიძლება, ოთხივემ უპასუხოს პირველს და პასუხი იყოს მეოთხე, – ამბობს ყოფილი მინისტრი.

მისივე თქმით, ჯეჯელავა შეგნებულად თამაშობს კლოუნის როლს.

– მე ვთვლი, რომ ჯეჯელავა განათლებული ადამიანია, მაგრამ სამარცხვინოა, როცა საკუთარი თავი გამოჰყავს, როგორც კლოუნი. სამარცხვინოა, როცა ამ პროცესში ქართველ აბიტურიენტებს ადარებს მაიმუნებს და შეურაცხყოფას აყენებს ათიათასობით ადამიანს, რომლებიც სწავლობენ და ცდილობენ ჩააბარონ, რომ მომავალი ჰქონდეთ. მისი წინადადებების უკან დგას ალბათობის თეორიის ბოროტად გამოყენება, რომელიც არ მუშაობს საგამოცდო პროცესში. ეს რომ მუშაობდეს, მაშინ კაზინოში 4 მაიმუნი რომ შევიდეს, იქიდან ერთი გამოვა მილიონერი.

რაც მთავარია, რას მოგვიტანს ჩვენ ბარიერის აწევა. მაშინ როცა ეროვნული სასწავლო გეგმა აცდენილია ტესტებს, როცა ბავშვებს აბარებინებენ არა იმ პროგრამას, რომელსაც სკოლაში გადიან, არამედ იმას, რაც სურს საგამოცდო ცენტრს, ამ შემთხვევაში ბარიერის აწევა მოგვცემს იმას, რომ აიწევა თანხების რაოდენობა, რომელსაც მშობლები იხდიან რეპეტიტორებთან. ერთმანეთს თვალებში შეხედონ განათლების სამინისტროს მაღალჩინოსნებმა. ერთი ბავშვის მომზადება გამოცდებისთვის ღირს 4500 დოლარი. განათლების სამინისტროს სტატისტიკა აჩვენებს, რომ უკვე 90% ემზადება გამოცდებისთვის. ბარიერის აწევა კი გამოიწვევს მხოლოდ იმას, რომ ეს თანხა მოიმატებს და 10-დან 9 კი არა, ივლის 10-დან 10, გაიზრდება რეპეტიტორების შემოსავალი და ეს დააკლდება ქართულ ოჯახებს, – აცხადებს დიმიტრი შაშკინი.

**ნიუპოსტი**

დასაწყისი მე-3 გვერდზე

# შევარდნაძეს არ ეშინოდა ჩემი ისე, როგორც პოროშენკოს ეშინია




ლებისკენ მოუწოდა.

– ხომ ამბობდნენ, ექსტრადირებას ვაპირებთო? შემიშვან, აბა? როგორი მხდალები არიან, როგორ ეშინიათ ჩემი, ხომ ხედავთ? როგორ უკანკალებთ ყველაფერი. ასე რომ, რაც არის, ეგ არის.

მე შევეცდები, მოვხვდე უკრაინაში. ის, რაც ახლა ხდება, არის ცირკი, რომელიც შექმნა უკრაინის მთავრობამ, პირადად პრეზიდენტმა. მინისტრებმა განაცხადეს, რომ ისინი პასუხისმგებლები არ არიან იმაზე, რომ ხალხი გადმოსვეს მატარებლიდან. თუ მინისტრი არ არის პასუხისმგებელი, მაშინ რჩება მხოლოდ ერთი სუბიექტი, რომელიც დაინტერესებულია იმით, რომ მე არ მოვხვდე უკრაინაში. ეს არის უკრაინის პრეზიდენტი, – აღნიშნა მან.

მატარებლიდან ჩამოსული სააკაშვილი გეგმა „ა“-ს დაუბრუნდა და უკრაინაში დასაბრუნებლად ისევ ავტობუსი აირჩია.

– ჩვენ გთავაზობთ ყველას, ავტობუსებით წავიდეთ კრაკოვეცისკენ, – განაცხადა ნაპრეზიდენტალმა.

ავტობუსში ასვლამდე მან საქართველოს მოსახლეობას საგანგებოდ მიმართა.

– მინდა, ყველა მოვიკითხო საქართველოში. მე ახლა მივდივარ უკრაინაში, მაგრამ ერთი სული მაქვს, როდის ჩამოვალ საქართველოში. ჩემთვის ეს არის ცხოვრების მიზანიც, ისევე, როგორც უკრაინის დახმარება ახლა, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

სატრანსპორტო საშუალების გარდა, მან გადასაკვეთი სასაზღვრო პუნქტიც შეცვალა, კრაკოვეცის ნაცვლად, თანმხლებ პირებთან ერთად

**„მინდა, ყველა მოვიკითხო საქართველოში. მე ახლა მივდივარ უკრაინაში, მაგრამ ერთი სული მაქვს, როდის ჩამოვალ საქართველოში. ჩემთვის ეს არის ცხოვრების მიზანიც, ისევე, როგორც უკრაინის დახმარება ახლა“**

სასაზღვრო გამშვებ პუნქტ შეგინს მიადგა, რომელიც პშემისლის რკინიგზის სადგურთან ყველაზე ახლოს მდებარეობს.

სააკაშვილმა მედიას განუცხადა, რომ პოროშენკო იმედოვნებს, რომ იგი უკრაინამდე ვერ მიაღწევს და პოლონეთში დარჩება.

– უკრაინის ხელისუფლება ველურივით იქცევა. მე არ გავუკეთებ პოროშენკოს ასეთ საჩუქარს, რომ არ გავემგზავრო უკრაინის საზღვართან და არ გავესაუბრო მესაზღვრეებს, – აღნიშნა მარშრუტშეცვლილმა.

ევროპელი და უკრაინელი პოლიტიკოსებით სავსე ავტობუსი საზღვრამდე მალე მივიდა. პოლონეთის მხარეს საბაჟო კონტროლი უპრობლემოდ გაიარეს და გეზი უკრაინისკენ აიღეს.

დაუპატიჟებელ სტუმრებს უკრაინის საზღვარი გადაკეტილი დახვდათ. მას სასაზღვრო რაზმი იცავდა. საზღვარზე არცერთ ავტომობილს არ უშვებდნენ.

სიტუაციის გასარკვევად მესაზღვრეებთან უკრაინელი დეპუტატები მივიდნენ. იულია ტიმოშენკომ მათგან მოითხოვა იმ ბრძანების წარდგენა, თუ რატომ იყო საზღვარი გადაკეტილი.

მესაზღვრეებმა განაცხადეს, რომ საზღვარი დანაღმული იყო. ამაზე ტიმოშენკომ უპასუხა,

– ეს ბიჭები, რომლებითაც ჩვენ ძალიან ვამაყობთ, ემსახურებიან სახელმწიფოს. მე ვარ ყოფილი მესაზღვრე. როდესაც ვიდექი სახელმწიფო საზღვარზე, საბჭოთა კავშირის დროს, სლოვაკეთსა თუ უნგრეთში, მაშინაც კი იყო სადღეღამისო მეთვალყურეობა კამერებით. ამ ზომით დანაღმვა, მაშინ როდესაც აქ დგას ამდენი კამერა, ტექნიკურად შეუძლებელია. თუ ჩვენ ისინი სრულ იდიოტებად მიგვიჩნევენ?! ეს არის სისულელე, რომელიც შეიძლება მოუთხრო ნებისმიერ ადამიანს. მე ამას რეალურად არ მივიღებ და ისინი ძალიან ცდებიან.

პროკურორები, რომლებმაც გასცეს ეს ბრძანება, გაიქცნენ და დატოვეს ეს ბიჭები აქ. პოროშენკოს თუ ჩემი ასე ეშინია, დაიწყოს პროცედურები. ჩვენ არ ვაცხადებთ არანაირ საგანგებო სიტუაციას, რადგან ეს არის აბსოლუტურად ნორმალური სიტუაცია, ეს არის უკრაინის საზღვარი, – განაცხადა სააკაშვილმა.

ქართულ მედიასთან საუბარში კი უკვე ქართულად თქვა, რომ პოროშენკოს გადაწყვეტილებით გაოგნებული იყო.

– ეს ვინ ყოფილა პოროშენკო. ავტომატიანი კაცები დააყენა, რომ არ შევადგა ფეხი უკრაინის ტერიტორიაზე, – განაცხადა ნაპრეზიდენტალმა.

მისი თქმით, ავტომატიანების არავის ეშინია და ისინი უკრაინაში მაინც შევლენ.

გაცხარებულ სააკაშვილსა და მის თანმხლებ პირებს შეგინის სასაზღვრო გამშვები პუნქტის ხელმძღვანელმა აუწყა, რომ სასაზღვრო-გამშვები პუნქტი 3-4 საათში გაიხსნებოდა.

– გაცნობებთ, რომ მუშაობას შეუდგნენ სპეციალისტები, რომლებიც სწავლობენ სიტუაციას, მას შემდეგ, რაც ისინი დაასრულებენ საქმიანობას, საზღვარი განიბლოკება და ყველა პირი, რომლებსაც აქვთ კანონიერი უფლება, საზღვარი გადაკვეთონ, ამას შესაბამისი პროცედურების გავლით მოახერხებს, ამ პროცედურების დასრულებას 3-4 საათი დასჭირდება – უპატაკა არასასურველ სტუმრებს სასაზღვრო გამშვები პუნქტის ხელმძღვანელმა.

ამაზე უკრაინელმა დეპუტატებმა გენერალს მოსთხოვეს, ტერიტორია თუ დანაღმულია, უკრაინის მოქალაქეების ევაკუაცია მოახდინეთო. გენერალმა მათ ასეთი რამე შესთავაზა – საიდანაც მოსულხართ, იქვე ანუ პოლონეთში მიბრძანდითო.

სააკაშვილის მომხრეებმა გენერლის რჩევა არ გაითვალისწინეს. ამასობაში საზღვარს მესაზღვრეების იქით მყოფი ნაპრეზიდენტალის მხარდამჭერებიც მოადგნენ. მათ კორდონი გაარღვიეს და სააკაშვილი მიშა-მიშას ძახილით უკრაინის ტერიტორიაზე გადაიყვანეს.

რომ მზად იყვნენ, ხელწერილი დაეწერათ, რომ საკუთარ სიცოცხლეზე თავად აგებდნენ პასუხს.

გადაკეტილ საზღვარზე სააკაშვილმა უკრაინელ მესაზღვრეებს უკრაინულად მიმართა.





# დავით ნემსაძე: „მინდია ჯანელიძეს იმიტომ ებრძვიან, რომ ნაცმოძრაობას ანატომიურად ვერ იტანს“

გულიკო ბალაძე

**სამხედრო უფლებადამცველი დავით ნემსაძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ დესტრუქციული ძალები, რომლებიც დაინტერესებული არიან, ხელისუფლებაში მოახდინონ ტექტონიკური რყევები, პირდაპირ გამოდიან ხელისუფლების წინააღმდეგ და სახელისუფლებო ძალების მზადყოფნას ამოწმებენ.**



– ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ მინდია ჯანელიძე არის რუსეთის დაზვერვის, კონკრეტულად კი ფსბ-ს თანამშრომელი და მთელი რიგი პროცესები, რომლებიც განვითარდა ხანძრებთან დაკავშირებით, მინდია ჯანელიძის დამსახურებაა და მისი უმოქმედობის ბრალია. ხანძრებთან დაკავშირებით შემთხვევითობა გამორიცხულია. ეს არის ტიპური საბოტაჟი. დესტრუქციული ძალები, რომლებიც დაინტერესებული არიან, ხელისუფლებაში მოახდინონ ტექტონიკური რყევები, პირდაპირ გამოდიან ხელისუფლების წინააღმდეგ და ამოწმებენ სახელისუფლებო ძალების მზადყოფნას, როგორიც არის უსაფრთხოების სამსახურები და შეიარაღებული ძალები, გვარდიის დეპარტამენტი, საგანგებო სიტუაციების სამსახური, რომლებიც ვალდებული არიან, რეაგირება მოახდინონ, – აცხადებს დავით ნემსაძე.

***– ბატონო დავით, მიმდინარე პროცესებს როგორ აფასებთ?***

– მოვლენები ვითარდება ძალიან ქაოტურად. ეს არის ლიბიდური ქაოსი. ეს ის პროცესია, როცა ხელისუფლება ვარდება, იღებს აბსოლუტურად ყველანაირ რესურსს, ხოლო ის სპეცსამსახურები, რომლებიც წარმოქმნიან ასეთ ხელოვნურ საბოტაჟს სახელმწიფოს მიმართ, აკვირდებიან ხელისუფლების სინქრონულ შერწყმას, თუ როგორ უმკლავდებიან ისინი შექმნილ პრობლემებს, ხელოვნურ ქაოსს. პარალელურად იწევა წნევა, რომ გაკეთდეს პოლიტიკური განცხადებები, ვისაც უნდა, რომ ხელისუფლება შეასუსტოს.

***– გარე ძალების ქმედებებს ხედავთ თუ შიდა ძალების? ამბობთ, რომ სპეცსამსახურები იწვევენ ხელოვნურ ქაოსს. საქართველოს სპეცსამსახურებზე ხომ არ საუბრობთ?***

– ამაზე განცხადებები უნდა გააკეთონ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურებმა. მე სიღრმეებში არ შევალ. უცხო ქვეყნის საგარეო დაზვერვა ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ წარმატებულად რომ მუშაობს, ეს გამოჩნდა იმ შემთხვევაშიც, როდესაც აზერბაიჯანელი ე.წ. ჟურნალისტის გამო ქართული კონტრდაზვერვის უფროსი გაათავისუფლეს სამსახურიდან. ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ უცხო ქვეყნის საგარეო დაზვერვა ჩვენს ქვეყანაში წარმატებულად მუშაობს.

აზერბაიჯანის სპეცსამსახურება ქართველი საზოგადოების გულში „დემოკრატიული ფორმით“ გაიელვეს. აზერბაიჯანის სპეცსამსახურებს საქართველოში „სოკარის“ მეშვეობით ჰყავს მთელი რიგი კონსპირაციული წრეები, რომლებიც მართავენ აზერბაიჯანის ინტერესებს. კომპანია „სოკარი“ არა მარტო მათი მეშვეობით აკეთებს ყველაფერს. ე.წ. აზერბაიჯანელი ჟურნალისტის ამბავს შეეწირა საქართველოს კონტრდაზვერვის სამსახურის უფროსი. ეს არის ნათელი გამოვლინება იმისა, რომ უცხო ქვეყნის საგარეო დაზვერვა ჩვენს ქვეყანაში წარმატებულად მუშაობს.

***– რატომ არ შეიძლებოდა კონტრდაზვერვის სამსახურის უფროსის მოხსნა?***

– იმიტომ, რომ პიროვნება, რომელიც იყო ჩვენი ქვეყნის სამსახურის უფროსი, უშუალოდ ებრძოდა უცხო ქვეყნის აგენტურას ჩვენს ქვეყანაში. საკუთარ ქვეყანაში საკუთარი ქვეყნის სპეცსამსახურებს არ უნდა მიაყენო იმხელა შეურაცხყოფა, რომ მათი გულისთვის კონტრდაზვერვის უფროსი სამსახურიდან მოხსნა. არავინ მოხსნიდა აზერბაიჯანში ქართველი ჟურნალისტის გამო აზერბაიჯანის კონტრდაზვერვის სამსახურის უფროსს. ასევე აქ არის მთელი რიგი მენტალური პრობლემები, რომლებიც ჩვენს უსაფრთხოებას ურტყამს. მოვითხოვ, აღდგეს სამსახურში საქართველოს კონტრდაზვერვის გათავისუფლებული უფროსი.

***– ლევან ბერძენიშვილის მხრიდან ჯანელიძის კრიტიკა რატომ გაწუხებთ?***

– ლევან ბერძენიშვილს, ეტყობა, დაავიწყდა, როდესაც თინა ხიდაშელი იყო თავდაცვის მინისტრი, სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტში დანიშნეს ლევან ბერძენიშვილის რძალი ელენე კავსაძე. ეს ქალი იქ მიიყვანა ყველანაირი სამხედრო განათლების გარეშე მხოლოდ იმიტომ, რომ მაღალი ხელფასი აეღო. ასეთი ადამიანები პირადი ინტერესებით ასუსტებენ ქვეყნის სამხედრო მზადყოფნას. ზუსტად ასეთი მეთოდებით ასუსტებენ შეიარაღებული ძალების სიძლიერეს, მაშინ როცა მისმა თანაპარტიელმა ხიდაშელმა შეურაცხყოფა მიაყენა და დაარღვია ქვეყნის უზენაესი კანონი საქართველოს კონსტიტუცია და ქვეყნის ახალგაზრდებს აუკრძალა სამხედრო სამსახურში სამსახური, რომ აღარაფერი ვთქვათ კომუნისტურ იდეოლოგიაზე. დავით უსუფაშვილი 9 აპრილის შემდეგ შევიდა კომპარტიაში.

***– უსუფაშვილი და ხიდაშელი აღარ არიან რესპუბლიკური პარტიის წევრები.***

– კი, მაგრამ ისინი არსად წასულან, ხალხის თვალის ასახვევად მოიქცნენ ასე.

***– ჯანელიძის მუშაობა მოგწონთ?***

– ჯანელიძის მინისტრობის დროს შეიარაღებულ ძალებში ვმუშაობდი. ის ხმალამოღებული ებრძოდა ნაცმოძრაობას. ამ ადამიანმა სამსახურიდან გაუშვა ლოგისტიკის სარდლობის უფროსი კერესელიძე, რომელმაც სააკაშვილის დროს ორმო გათხარა და პირადი შემადგენლობა ჩაყარა. ბატონი კაპანაძე და სხვები თავდებად უდგებოდნენ კერესელიძეს. მინდია ჯანელიძე იყო ის მინისტრი, რომელიც უბრალო ჯარისკაცებს ესაუბრებოდა პირად პრობლემებზე. მინდია ჯანელიძე იყო ის ადამიანი, რომელიც ნაცმოძრაობას ანატომიურად ვერ იტანდა. ამიტომ ებრძვიან მას.

# მარტოკაცი ანდაქიდან

## ერთი ბილიკა გვინდა, გზას ხომ არ ვითხოვთ



15 წელია მუცოში საზღვარს ამაგრებს. ანდაქში დაიბადა და გაიზარდა. შემდეგ იყო იძულებითი გადასახლება სოფელ გამარჯვებაში, ნახევრად უდაბნოში ცხოვრება და უკან დაბრუნების სირთულე. დაოჯახებულია, თუმცა მეუღლესა და შვილებს ზაფხულობით თუ ნახულობს – ზამთარში, როცა ტემპერატურა -18, -20 გრადუსამდე ეცემა და დათვიჯვრის უღელტეხილზე თოვლის სიმაღლე 4-5 მეტრს აღწევს, მისვლა-მოსვლა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ პერიოდში გადაადგილების ერთადერთი საშუალება სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენია. სოფელში ხევსურეთის სიყვარულმა და საქმის კეთების სურვილმა დააბრუნა, საქმის, რომელსაც უამრავი მოუგვარებელი პრობლემა აფერხებს.

სოსო ზვიადაური მუცოს სასაზღვრო სექტორზე მსახურობს. ფიქრობს, რომ მესაზღვრეებად ადგილობრივები რომ დგანან, საქმესაც ადგება და ქვეყანასაც:

– ადგილობრივმა უკეთ იცის აქ ყველაფერი, ერთ მწყემსი ეყოფა მთელი ტერიტორიის გაკონტროლებას. ადრე ეგრე არ იყო? ჩვენ ვიცავდით ამას, ჩვენი წინაპრები იცავდნენ. ყველას ჰყავდა ცხვარიც, საქონელიც, მესაზღვრეც იყო და მაცხოვრებელიც.

თუმცა, ერთია სურვილი და მეორე რეალობა – სოფლამდე გზა არ მიდის, არც „ბილიკა ხიდებია“, ისეთი, ცხენიც რომ გადაადგილდეს და ადამიანიც. ამ პრობლემების ფონზე კი ის, რომ არც ტელეფონი იჭერს და არც შუქი აქვს, შედარებით ნაკლებად აწუხებს.

უგზოობისა და ხიდების არ არსებობის გამო არაერთხელ ჩავარდნილა მდინარეში, ერთხელ ფეხიც მოიტეხა. მიიჩნევს რომ გაუმართლა, რადგან უახლესი წარსულიდან ბევრი შემთხვევა ახსოვს, როცა მდინარემ ადამიანი იმსხვერპლა.

ასეთი ვითარების ფონზე არ უკვირს, რომ მთელ პირიქითა ხევსურეთში 15-მდე კომლია დარჩენილი, მათი მთავარი იმედი და გვერდში მდგომი კი მესაზღვრეები არიან.

„დათვიჯვარზე რომ გადმოდიხარ, პირველი სოფელი არის ლებაისკარი. მანდ კაციშვილი არ ცხოვრობს. მერე არის კისტანი, მერე ჩამოდიხარ გიორგიწმინდაში, მანდაც არავინ არ ცხოვრობს. შატილში არის 7-8 ოჯახი. ანატორი – კაციშვილი არ ცხოვრობს, მესაზღვრეები დგანან ზემოთ. ამოვდივართ მუცოში – 3 კომლი. არდოტში და ხონიჭალაში 3-4 კომლია. ანდაქში მე ვარ მთელი წლის განმავლობაში. არჭილოში არავინ ცხოვრობს, ხახაბოც დაცლილია.“





სამსახურისგან თავისუფალ დროს მამაპაპისეულ კარ-მიდამოში საქმიანობს. საკუთარი ბიზნესის დასაწყებად ემზადება, რომლის ერთ-ერთი მიმართულებაც ტურიზმი იქნება. მხატვარი ირაკლი სუთიძე დაეხმარა და ცხენები ამოუყვანა. საქმიანობის სფეროების გაფართოებას და საკალმახის მოწყობას გეგმავს. პერსპექტივას მეფუტკრეობაშიც ხედავს. თუმცა „არც ტურიზმი გამოვა და არც არაფერი“, გზები და ხიდები თუ არ მოეწყო.

„ისეთი რაღაცაა გასაკეთებელი, რომ ხალხი გაამაგრო. ვიცნობ ადამიანებს, აქ რომ უნდათ ყოფნა, მაგრამ სამსახური არაა. არადა, ეს ხომ სამშობლოა ჩვენი, თანაც საზღვრისპირა, არ უნდა დავკარგოთ! როცა წავალ პენსიაში, დავრჩები აქ და მესაზღვრეც ვიქნები და ადგილობრივი მოსახლეც“.

სოსო ზვიადაური ანდაქში რჩება და ცივი ზამთრისთვის ემზადება. საუბრის ბოლოსაც ისევ იმ თავის სურვილს გვიმეორებს – „რა იქნება, სოფელს ერთი ბილიკი გაგვიკეთონ, ფეხითა თუ ცხენით ნორმალურად რო გადაადგილდე, უსაფრთხოდ. ბილიკზე მაქვს ლაპარაკი!“

სოფელი ანდაქი პირიქითა ხევსურეთში, შატილის თემში, ზღვის დონიდან 1550 მეტრზე მდებარეობს. 2002 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, აქ 17 ადამიანი ცხოვრობდა, 2014 წელს კი არცერთი. 2017 წლის 23 აგვისტოს სოფლის ტერიტორიაზე ხანძარი გაჩნდა. სამანქანო გზის არარსებობის გამო ცეცხლი არა მეხანძრეებმა, არამედ რეინჯერებმა და ადგილობრივებმა ჩააქრეს.

**მთის ამბები**

# თამაზ დარჩიძე: „სახელმწიფომ ბოტანიკური ბაღის განსაკუთრებული როლი უნდა აღიაროს“

მანანა იაშვილი

**საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში უცხოელი ექსპერტებისა და ადგილობრივი ჯგუფის მიერ მომზადდა სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2030 წლებისთვის, რომელიც უახლოეს დროში დამტკიცდება. ექსპერტმა ბოტანიკური ბაღების საკითხებში ენდრიუ ჯექსონმა, რომელიც 2017 წლის დასაწყისიდან კოორდინაციას უწევს დოკუმენტზე მუშაობის პროცესს, გვითხრა:**

– საქართველოში ვნახე ბათუმისა და ქუთაისის ბოტანიკური ბაღები, რამაც საშუალება მომცა დამენახა, რომ საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღს შეუძლია კოორდინაცია გაუწიოს საქართველოს სხვა ბაღებს და შემდეგ წარმოადგინოს ისინი ევროპის დონეზე, რაც, თავის მხრივ, ევროპულ ბაღებს დაეხმარება მათი როლის ხელახლა გააზრებასა და ჩამოყალიბებაში. ასევე, ძველი ქალაქის გულში მდებარე, ულამაზესი ნარიყალას ციხით შემოსაზღვრული ბოტანიკური ბაღი ნამდვილი გვირგვინის მარგალიტია, რაც ქალაქს შეუძლია მარკეტინგულად გამოიყენოს – დასვენებისათვის და ასევე ამ წარმტაც, შთამაგონებელ ბაღში საქართველოს ფლორის გაცნობისათვის, ულამაზესი მცენარეებით ტკბობისათვის.

ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრეთ ბოტანიკური ბაღის დირექტორ თამაზ დარჩიძეს.

**თამაზ დარჩიძე:**

– ჩვენ სამომავლოდ ამბიციური, მაგრამ შესრულებადი მიზნები დავისახეთ. მათ შორის საქართველოსა და კავკასიის მცენარეთა მრავალფეროვნების, ეთნობოტანიკური გამოყენების შესწავლა და დოკუმენტირება. საქართველოს ფლორის წინაშე არსებული, მათ შორის არაადგილობრივი ინვაზიური სახეობებით გამოწვეული საფრთხეების შესწავლა და ანალიზი. საქართველოს ბუნებრივი ფლორის, მათ შორის კულტურულ მცენარეთა ველური მონათესავე სახეობების შეგროვება, მათი გრძელვადიანი შენახვისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა კვლევის, რეინტროდუქციისა და სელექციისათვის...

***– რა საჭირო იყო ამ გეგმის შექმნა, ამას ხომ ისედაც უნდა აკეთებდეთ?***

– ეს საერთაშორისო გამოცდილებაა. სტრატეგიული გეგმა ადგენს მიზნების, შედეგებისა და ღონისძიებების ჩარჩოებს ორგანიზაციის მენეჯმენტისათვის. ეს არის ინსტრუმენტი საზოგადოების და ზოგადად გარე სამყაროს ინფორმირებისათვის ორგანიზაციის მიერ აღიარებული ფასეულობების და საქმიანობის შესახებ.

***– თქვენ უკვე ორი წელია ბოტანიკური ბაღის დირექტორი ხართ. რა დაგხვდათ აქ და ამ ხნის განმავლობაში რა გაკეთდა?***

– დღევანდელი გადასახედიდან ცოტა რთულია ყველაფრის შეჯამება. ბაღში ვითარება ჯერ კიდევ არ არის სახარბიელო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, ზოგადად სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის თვალსაზრისით. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სტრატეგიული განვითარების გეგმის შექმნა. იგი მოიცავს ბაღში განსახორციელებელ ცვლილებებს. გეგმა უნდა იყოს აღიარებული მსოფლიოს წამყვანი ბოტანიკური ბაღების მიერ, საერთაშორისო ბოტანიკური საზოგადოების მიერ, რათა არავის ჰქონდეს გარკვეული ინტერპრეტაციის საშუალება ჩვენი ბოტანიკური ბაღის საქმიანობასთან დაკავშირებით.

***– საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი ქალაქის მერიის დაქვემდებარებაშია. ხომ არ იგეგმება მისი ცალკე ერთეულად გამოყოფა, ასე ვთქვათ, სტატუსის ამაღლება, რაც მისი სახელიდანაც ჩანს?***

– დიახ, ჩვენ თბილისის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში ვართ. ბოტანიკური ბაღის წესდებით გათვალისწინებული მიზნები და



საქმიანობა სცდება ქალაქის მუნიციპალიტეტის არსს. ჩვენ ვსწავლობთ არა მხოლოდ თბილისისა და მის შემოგარენში გავრცელებულ მცენარეებს, არამედ საქართველოს ბიომრავალფეროვნებას. აქცენტები კეთდება მცენარეთა მრავალფეროვნების შესწავლაზე, შენარჩუნებაზე, კონსერვაციასა და ჩვენი მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებაზე. ამ ლოგიკით პროცესის ამ მიმართულებით განვითარება შესაძლებელია, მაგრამ დღეს ინსტიტუციური დაქვემდებარების პრობლემა ჩვენი საქმიანობის ხელისშემშლელი გარემოება არ არის.

***– არც ფინანსური თვალსაზრისით? ქალაქის მერიას ხომ უფრო მცირე ბიუჯეტი აქვს, ვიდრე მთლიანად საქართველოს?***

– თბილისის მუნიციპალიტეტისთვის ჩვენი ორგანიზაციის განვითარება პრიორიტეტს წარმოადგენს. დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელ და სამომავლო ხელმძღვანელობას აქვს და ექნება სწორი პოზიცია ბოტანიკური ბაღის საქმიანობასთან, მის არსთან და განვითარებასთან დაკავშირებით. დაფინანსების პრობლემა არსებობს და ამას დასჭირდება სახელმწიფო თანადგომა. სახელმწიფომ უნდა აღიაროს ბოტანიკური ბაღის განსაკუთრებული როლი ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე. მომავლის სადისკუსიო თემაა, ვის დაქვემდებარებაში დარჩება ბოტანიკური ბაღი, მაგრამ ამ ეტაპზე ეს არსებითი არ არის, მთავარია, ქალაქის მუნიციპალიტეტმა ხელი შეგვიწყოს სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელებაში.

***– თქვენ უფრო მეტი მუშაობა გიწევთ, რათა დონორები მოიზიდოთ, ვიდრე სხვა სახელმწიფო დაწესებულებას, რომელსაც ბიუჯეტიდან ფიქსირებული თანხა ეძლევა?***

– ჩვენ ვზრუნავთ, რომ ბაღს მომავალში ჰქონდეს საკუთარი შემოსავალი ვიზიტორთა რიცხვის გაზრდითა და მათი მომსახურების გაუმჯობესებით. არის სხვა პროექტებიც.

***– ფონდ „ქართუსთან“ გაქვთ რამე პროექტი, გეხმარებათ?***

– ფონდი „ქართუ“ ამჟამად უზრუნველყოფს თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების მნიშვნელოვან ნაწილს, რაც დაახლოებით 500.000 ლარია. მუნიციპალიტეტის ხელფასები საკმაოდ დაბალია და ხელფასი რომ მეტ-ნაკლებად შესაბამისი იყოს სამეცნიერო საქმიანობასთან, ეს დახმარება ჩვენთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

***– სამეცნიერო კვლევების გარდა, ბოტანიკური ბაღის განვითარების პრიორიტეტებში რა იგულისხმება?***

– ბოტანიკური ბაღი ძალიან სპეციფიკური ორგანიზაციაა. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი სარეკრეაციო უბანი ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის, ტურისტული თავშეყრის ობიექტი ძველი თბილისის ამ მნიშვნელოვან ტურისტულ მარშრუტზე და მეორე, ეს არის ერთ-ერთი უძველესი სამეცნიერო დაწესებულება, რომელსაც კონკრეტული მიზნები გააჩნია მეცნიერებაში, ბიომრავალფეროვნების დაცვის საქმეში.

***– უამრავი უცხო ხალხი მიდი-მოდის. ტურიზმი და სამეცნიერო კვლევა რამდენად თავსებადია ერთმანეთთან?***

– ბოტანიკური ბაღი, როგორც სამეცნიერო დაწესებულება, ზოგჯერ ჩაკეტილ-დახურულ ინსტიტუციად არის გაგებული. ეს შეცდომაა. ბოტანიკური ბაღის არსია, მეცნიერული კვლევა პრაქტიკას დაუკავშიროს და ღიად მიაწოდოს მოსახლეობას. დამთვალიერებელი უნდა ხედავდეს ჩვენს საქმიანობას, უნდა ავუხსნათ, რას ვაკეთებთ, რა პრაქტიკული შედეგის მომტანია ჩვენი შრომა. ჩვენ აქ ფუნდამენტურ კვლევებს ვაწარმოებთ, მაგრამ ამ კვლევების საბოლოო დანიშნულება მათი პრაქტიკული გამოყენებაა.

***– რას გულისხმობთ?***

– მაგალითად, კონკრეტული სახეობების შენარჩუნება და კონსერვაცია, სახეობების გამრავლების პროტოკოლების შექმნა და ბუნებაში მათი გამრავლება – დაბრუნება. სტუმარს უნდა აუხსნა, როგორ უნდა გამრავლდეს მცენარე, რა უნდა გაკეთდეს მისი ბუნებრივ პირობებში დასაბრუნებლად. სახეობების რეინტროდუქცია დახურულ სივრცეში იქმნება, ის არ არის დამთვალიერებლებისთვის ხელმისაწვდომი, მაგრამ თითოეული კოლექცია დამთვალიერებლისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

***– სკოლებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან თუ გაქვთ ურთიერთობა?***

– დღეს ეს ურთიერთობები არასაკმარისია, მაგრამ გეგმა ითვალისწინებს, რომ უახლოეს მომავალში შეიქმნას კვალიფიციური ჯგუფი, რომელიც მოამზადებს სასწავლო, შემეცნებით საგანმანათლებლო პროგრამებს ყველა კატეგორიის დამთვალიერებელთათვის

***– ტერიტორიის გაფართოებაზე ხომ არ ზრუნავთ?***

– გასული საუკუნის 90-იან წლებამდე ბოტანიკური ბაღი თავისი საცდელი ნაკვეთებით კრწანისში, კოჯორში, თბილისის შემოგარენში 112 ჰექტარს მოიცავდა. ახლა საცდელი გარე ობიექტები აღარ გვაქვს, მაგრამ, რა ტერიტორიაც დაგვრჩა, იმის საკმაო ნაწილიც აუთვისებელია. ამიტომ, ბოტანიკური ბაღის კოლექციებს თუ ექნება განვითარების პერსპექტივა, ჩვენ გაგვაჩნია საკმაო ტერიტორია ასათვისებლად. გასულ წელს ჩვენს მფლობელობაში გადმოვიდა თაბორის მთის საპარკე სივრცე, რომელიც საინტერესოა ტურიზმის განვითარებისთვის, ალტერნატიული შემოსასვლელის მოწყობისთვის. მომავალში ვგეგმავთ ახალ სათავგადასავლო მარშრუტს წავკისისწყლის ხეობაში.

***– გარემოს კლიმატურმა ცვლილებებმა წელს თბილისს ძალიან შემოუტია. ასეთ სიცხესა და გვალვას მიუჩვევლები ვართ. როგორ იმოქმედა ამან ბოტანიკური ბაღის მცენარეებზე? შეიძლება ბაღიც დაგვეღუპოს და თბილისში არსებული სხვა ნარგავებიც? რა კეთდება მცენარეთა გადასარჩენად?***

– უცხოელი პარტნიორების მხარდაჭერით გაძლიერებული გვაქვს კონსერვაციის პროგრამები. მეტი რაოდენობის თესლი გროვდება და ინახება ეროვნული თესლის ბანკში. ვსწავლობთ მცენარეთა კრიტიკული სახეობების გამრავლების საკითხებს, მუდმივი მონიტორინგი მიმდინარეობს, რათა ვიცოდეთ, როგორ გავამრავლოთ და დავაბრუნოთ ბუნებაში ის სახეობები, რომლებსაც თვითგანახლების შესაძლებლობა დაქვეითებული აქვთ. ეს ჩვენი ერთ-ერთი სტრატეგიული მიმდინარეობაა.

მეორე საკითხი ეხება თბილისის შემოგარენში ხე-მცენარეების ხმობის მიზეზებს, რაც მთლად კლიმატის ცვლილებასთან არ არის დაკავშირებული. თბილისის ხე-მცენარეების სახეობრივი შემადგენლობა უმეტესად ხელოვნურადაა შექმნილი. მათი ჩანაცვლება არ ხდებოდა კლიმატური ზონისათვის ბუნებრივი მცენარეულობით, რათა ტყეს შეძლებოდა თვითგანახლება და არ ყოფილიყო დამოკიდებული ხელოვნურ განახლებაზე. დარგულმა სახეობებმა კი დრო მოჭამეს და დაბერდნენ. თბილისის შემოგარენის ტყეების გასაახლებლად დიდი სამუშაოა გასაწევი. ამ საქმეში ჩვენ კვლევებსა და მონიტორინგს ვახორციელებთ.

***– თვითონ ბოტანიკურ ბაღში როგორი მდგომარეობაა?***

– ჩვენთან ჩანაცვლება-განახლების პროცესი მუდმივად მიმდინარეობს, ეს ჩვენი ყოველდღიური სამუშაოა. რაც შეეხება წლევანდელ გვალვას, მიუხედავად ჯერ კიდევ შეზღუდული შესაძლებლობებისა, მოვახერხეთ კოლექციების მოვლა-პატრონობა და უამრავ დამსვენებელს შევუნარჩუნეთ ჩვენი ბაღის სასიამოვნო, მყუდრო გარემო. სიცხით შეწუხებული თბილისელებისა და ჩამოსული სტუმრებისთვის ბოტანიკური ბაღი შვების მომტან სავანეს წარმოადგენდა. მაგრამ ჩვენ მეტი გვინდა, ჩვენი მისწრაფებაა, საქართველოს მოსახლეობა აფასებდეს და იცავდეს ქვეყნის გამორჩეულ მცენარეულ მრავალფეროვნებას და იყენებდეს მას ჩვენი ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად ურბანულ გარემოში, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებსა და ბუნებაში. საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღს ჩვენ ვხედავთ, როგორც მცენარეთა მრავალფეროვნების დარგში ავტორიტეტულ და სანდო სამეცნიერო რესურსს, რომელიც, ამავდროულად, დაფასებული იქნება, როგორც მომხიბვლელი, ესთეტური სიამოვნების მიმნიჭებელი, გონებისა და სულისთვის შთამაგონებელი ბაღი.

## ალექსანდრე ჯეჯელავა: „თბილისის რამდენიმე სკოლის მოსწავლეს კვირაში ერთხელ ვაშლი მიუვა სტუმრად“



განათლების მინისტრ ალექსანდრე ჯეჯელავას ინფორმაციით, ახალ სასწავლო წელს უწყება მოსწავლეებს ძალიან ბევრ სიახლეს სთავაზობს.

როგორც ჯეჯელავამ ჟურნალისტებს განუცხადა, მოსწავლეებს უკეთ გადამზადებული დირექტორები, საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები ეყოლებათ. მისივე თქმით, 300 სკოლას რემონტი ჩაუტარდა და მოსწავლეებს განახლებული დახვდებათ, რაც მათ მოტივაციაზე იმოქმედებს.

– პირველი და უმთავრესი სიახლე, ის არის, რომ უფრო მეტად მოტივირებული მასწავლებელი ეყოლებათ, უფრო მეტი მასწავლებელი ზრუნავს თავისი კომპეტენციის ამაღლებაზე. წელს გამოცდებზე დარეგისტრირებულ მასწავლებელთა რაოდენობა 2-3-ჯერ გაიზარდა, რაც მნიშვნელოვანი მიღწევაა. ამასთან, 11.000-ზე მეტი, დაბალკონტინგენტიანი სკოლების ბანაკში ნამყოფი ბავშვი დაუბრუნდება სკოლას და ეს მათი მოტივაციისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სიახლეები იქნება სკოლის ბუფეტებშიც: მაღალშაქრიანი, მაღალმარილიანი პროდუქტები ბავშვებს აღარ დახვდებათ და ეს ძალიან დიდი ნაბიჯია გადადგმული ამ მიმართულებით.

ასევე ყველა სკოლაში მნიშვნელოვნად გაიზრდება სპორტული აქტივობები, მარტო ფიზკულტურის გაკვეთილებს არ ვგულისხმობ. ამ გაკვეთილების გარეშეც ბევრი საინტერესო ინიციატივაა, ერთ-ერთი არის – თბილისის რამდენიმე სკოლის მოსწავლეს კვირაში ერთხელ ვაშლი მიუვა სტუმრად. მოეწყობა კამპანია ჯანსაღი ცხოვრების შესახებ. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ცხოვრების ჯანსაღი წესისკენ ვუბიძგოთ ჩვენს მოსწავლეებს, – განაცხადა ჯეჯელავამ.

**მედიანიუსი**

## ნაციონალური მოძრაობის წევრის საარჩევნო შტაბში უცნობმა პირმა აგური შეაგდო



ნაციონალური მოძრაობის წევრ კოტე იოსელიანის შტაბის შენობაში უცნობმა პირმა სამშენებლო აგური შეაგდო. შემთხვევა გვიან ღამით მოხდა.

ამ დროს ადგილზე შტაბის წევრები, მათ შორის თავად იოსელიანიც იმყოფებოდა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ადგილზე ექსპრეტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ.

კოტე იოსელიანი მომხდარის გამოძიებას ითხოვს.

– ეს არის აშკარა, მიზანდასახული წინასაარჩევნო კამპანიის ხელის შეშლის მცდელობა, ასევე ადამიანების განზრახ ჯანმრთელობის დაზიანების მცდელობა. მინდა, მივმართო „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს, რომლებიც მსგავს რაღაცებს გეგმავენ, რომ მათ არ გაუვათ ამ გზით არჩევნების მოგება. მივეცი პოლიციას წერილობითი ჩვენება, სადაც მოვთხოვე ჩემი ოფისის წინ განთავსებული სათვალთვალო კამერების ჩანაწერების ამოღება. ამ დანაშაულში მონაწილე პირების იდენტიფიცირება და შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების გატარება, – აღნიშნა იოსელიანმა.

**მედიანიუსი**

# ლევან დავითაშვილი: „ყურძნის ფასი მაღალი იქნება“



სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი რთვლის მიმდინარეობას გაეცნო. როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, მინისტრი ლევან დავითაშვილი თელავში რთვლის საკოორდინაციო შტაბის წევრებს შეხვდა და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარისგან, გიორგი სამანიშვილისგან რთვლის მიმდინარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოისმინა.

შეხვედრას კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

მინისტრის შეფასებით, რთველი 2017 ორგანიზებულად და წარმატებით მიმდინარეობს.

– კახეთის რეგიონში უკვე გადამუშავებულია 10 ათას ტონაზე მეტი ყურძენი, თუმცა რთვლის პროცესი აქტიურ ფაზაში ახლა შედის. წელს მევენახეობის მიმართულებით განსაკუთრებით კარგი კონიუნქტურა გვაქვს, რეკორდულად მაღალია ღვინის ექსპორტის მონაცემები.

ყველა წინაპირობა არსებობს, რომ ყურძნის ფასი მაღალი იყოს და მევენახეების შრომა მაქსიმალურად დაფასდეს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რთველს ძალიან წარმატებით ჩავატარებთ. სახელმწიფომ ყველაფერი გააკეთა რთვლის პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის, რაც ბოლო წლებში მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით გატარებული რეფორმის მნიშვნელოვანი მიღწევაა, – აღნიშნა სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

კახეთის გუბერნატორის განცხადებით კი, რთვლის ორგანიზების პროცესში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართული.

– რთველი პირველად ტარდება სუბსიდიის გარეშე და ჩამბარებელი მეღვინე ზუსტად იმ ფასს უხდის მევენახეს, რაც რეალურად პროდუქციის საბაზრო ღირებულებაა. მე ვფიქრობ, რომ მეღვინეებსა და მევენახეებს, ასევე სახელმწიფოს შორის, რომელიც არის დარგში პოლიტიკის გამტარებელი, ეს კონსენსუსი შედგა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია არამარტო 2017 წლის რთვლისთვის, არამედ ზოგადად დარგის ხანგრძლივი განვითარების პერსპექტივისთვის, – აღნიშნა ირაკლი ქადაგიშვილმა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, კახეთის რეგიონში დღეის მდგომარეობით გადამუშავებულია 13,2 ათასი ტონა ყურძენი. აქედან, 4,7 ათას ტონამდე რქაწითელი, 6,5 ათას ტონამდე საფერავი, 750 ტონა კახური მწვანე, დანარჩენი კი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია. ყურძნის რეალიზაციის შედეგად შემოსავლების სახით 11,6 მლნ ლარია მიღებული. ამ ეტაპისთვის რთვლის საკოორდინაციო შტაბში 115 ღვინის კომპანიაა დარეგისტრირებული. ყურძნის გადამუშავების პროცესში უკვე 54 ღვინის კომპანიაა ჩართული. დღეღამური გადამუშავების მაჩვენებელმა 2,1 ათას ტონას მიაღწია.

გადამუშავებული ყურძნის რაოდენობით მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგი მდგომარეობაა:

**ყვარელი – 5,3 ათასი ტონა**
**თელავი – 2,2 ათასი ტონა**
**სიღნაღი – 2,8 ათასი ტონა**
**დედოფლისწყარო – 1,2 ათასი ტონა**
**გურჯაანი – 997 ტონა**
**ახმეტა – 504 ტონა**
**ლაგოდეხი – 154 ტონა**
**საგარეჯო – 132 ტონა.**

სამინისტროში აცხადებენ, რომ მეღვინეობის დარგის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, კახეთის რეგიონში 2017 წლის რთველზე ხარისხიან, კონდიცირებულ ყურძენზე სუბსიდიის გაცემის საჭიროება აღარ არსებობს და შესაბამისად, მთავრობის განკარგულების თანახმად, აღარ გაიცემა.

ამასთან ერთად, ბრენდის წარმოების განვითარების ხელშესაწყობად, ღვინის კომპანიები, რომლებიც საბრენდე სპირტისა და კონცენტრირებული ყურძნის ტკბილის წარმოების მიზნით რქაწითელსა და კახური მწვანის ჯიშის 1 კგ ყურძენს არანაკლებ 70 თეთრად შეისყიდიან, სახელმწიფოსგან კომპენსაციის სახით 35 თეთრს მიიღებენ.

**ბიპიენი**

# რა ღირს თბილისში კომერციული ფართები



თბილისში კომერციული ფართების გაყიდვა-გაქირავება საკმაოდ მომგებიანი საქმეა. თითქმის ყველა კორპუსის პირველ სართულზე წააწყდებით მაღაზიას, აფთიაქს, საცხობსა და სხვა სახის სავაჭრო ობიექტს, რომელიც დატვირთულ რეჟიმში მუშაობს. იმის გასარკვევად, თუ როგორია კომერციული ფართების სპეციფიკა ჩვენს დედაქალაქში, უძრავი ქონების სფეროს ექსპერტ შოთა გუჯაბიძეს მივმართეთ.

– სავაჭრო-კომერციული ფართები თბილისში საკმაოდ აქტიურად იყიდება და ქირავდება, ამიტომ თითქმის ყველა სამშენებლო კომპანია ცდილობს, სამშენებლო ხარჯები ამ ფართებით გადაფაროს. ზოგიერთი კომპანია ცდილობს მშენებლობის დასრულების შემდეგ კომერციული ფართი დაიტოვოს და საჭიროების მიხედვით გამოიყენოს, არის შემთხვევები, როდესაც კომპანია ყიდის კომერციულ ფართს და ამ თანხით ფარავს მის მიერ გაწეული ხარჯების დიდ ნაწილს. ცნობილი ბრენდები ყველაზე ხალხმრავალ, ცენტრალურ ქუჩებზე მდებარე ფართებს ქირაობენ და თანხასაც არ იშურებენ.

ამ მხრივ ყველაზე აქტიური და პრესტიჟული ადგილებია: რუსთაველის გამზირი, პეკინისა და ჭავჭავაძის ქუჩები, ასევე – ძველი თბილისის მიდამოები. ცნობილი ბრენდების მაღაზიები და სავაჭრო ობიექტები ძირითადად ასეთ ადგილებზეა განთავსებული. ასეთი ფართების რენტაბელურობაც მაღალია და რენტის ღირებულებაც, – აღნიშნავს შოთა გუჯაბიძე.

ექსპერტის შეფასებით, ამ ქუჩებზე არსებული კომერციული ფართების ფასი ძალიან მაღალია. რაც უფრო ხალხმრავალ ადგილას მდებარეობს კომერციული ფართი, მისი ფასი უფრო მაღალია. მაგალითად, რუსთაველისა და ჭავჭავაძის ქუჩებზე არის რამდენიმე კომერციული ფართი, სადაც 1 კვ.მ.-ის ფასი 8.000-დან 15.000 დოლარამდე მერყეობს.

ჭავჭავაძის ქუჩის კვეთაზე არის ფართები, სადაც 1 კვ.მ. 2-3 ათასი დოლარი ღირს, მაგრამ ცენტრალურ ქუჩებზე ასე დაბალ ფასს ვერსად წააწყდებით. ანალოგიური სიტუაციაა პეკინის ქუჩაზე, მართალია, ამ ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოებმა შეაფერხა კომერციული აქტივობა, მაგრამ როგორც კი გზის რეაბილიტაცია დასრულდება, ფასები იქაც აიწევს. ასეთ ხალხმრავალ ქუჩებზე უფრო მეტად სავაჭრო-კომერციული ობიექტები ქირავდება.

– რაც შეეხება საოფისე-კომერციულ ფართებს, მათაც თავისი სპეციფიკა აქვთ. ოფისების უმეტესობა შედარებით მეორეხარისხოვან ქუჩებზეა განთავსებული, თუმცა არსებობს მსხვილი კომპანიები, რომლებიც საოფისე ფართს ცენტრალურ ქუჩაზე, დიდი ფასადებითა და ვიტრაჟებით დამშვენებულ შენობაში ყიდულობენ. ეს კომპანიის სიდიდესა და მოცულობაზეა დამოკიდებული. ასეთი კომპანიები საქართველოში ბევრი არ არის – მხოლოდ რამდენიმე ათეულია. ბოლო წლებში თბილისში საკმაოდ აქტიურად დაიწყეს ე.წ. მოლების მშენებლობა, სადაც მყიდველს მრავალი სახის მომსახურებას სთავაზობენ. ქალაქის ცენტრში, ხალხმრავალ ადგილას ამხელა შენობას ვერ ჩადგამ, ამიტომ ისინი პერიფერიებშია გადანაწილებული. ასეთი კომპლექსური შენობები შედარებით მყუდრო, განაპირა უბნებში უნდა აშენდეს, – აცხადებს ექსპერტი.

ბიზნესპრესნიუსი ამავე საკითხზე უძრავი ქონების განცხადებების საიტ Saqme.ge-ს დირექტორს ნიკა ჯაფარიძეს ესაუბრა.

გასაქირავებელ ფართებზე უფრო მეტი მოთხოვნა განახლებულ უბნებშია: მაგალითად, ალმაშენებლის გამზირზე მდებარე კომერციულ ობიექტებში 1 კვ.მეტრის ღირებულება ძალიან მაღალია და გაყიდვის შემთხვევაში 5-6 ათას დოლარს აღწევს. ტრადიციულად ძალზე ძვირია აბანოთუბნისა და ლესელიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაც. ცენტრალურ ქუჩებზე არსებულ ვიტრაჟებიან ობიექტებზე მოთხოვნა ყველაზე დიდია. თუ საცხოვრებელი ბინების სიძვირით ვაკე-საბურთალო ლიდერობს, კომერციული ფართების სპეციფიკა სრულიად განსხვავებულია: საკმაოდ კარგად მუშაობს სავაჭრო ადგილები, რომლებიც მეტროს სადგურებთან ახლოს მდებარეობს.

მაგალითად, ვარკეთილის მეტროსთან კომერციული ფართი შეიძლება 5 ათასიც ღირდეს. ეს არ არის პრესტიჟული უბანი, მაგრამ ხალხმრავალ ადგილებში კომერციული ფართი ყოველთვის ძვირი ღირს. ყველაზე მოთხოვნადია ახალაშენებული კორპუსები, სადაც კომერციული ფართი ქუჩაზე გამოდის, ასეთ ობიექტებზე მოთხოვნაც დიდია და მათი ფასიც მეტია.

ნიკა ჯაფარიძის თქმით, ზოგჯერ სულ რაღაც 20-30 მეტრი ცვლის კომერციული ფართის ფასს:

– შეიძლება სახლის ერთ მხარეს არსებული სავაჭრო ფართი სულ სხვა ფასი ღირდეს, ხოლო მეორე მხარეს – გაცილებით ძვირი – ეს კომერციული ფართების სპეციფიკაა: თუ სავაჭრო ობიექტი ხალხმრავალ და მოძრავ ადგილზეა, ის საკმაოდ ძვირად ფასობს. ვაკე-საბურთალოზე და ვარკეთილში საცხოვრებელ ბინას ერთი ფასი ვერ ექნება, მაგრამ, როდესაც საქმე კომერციულ ფართს ეხება, აქ სულ სხვა სიტუაცია გვაქვს: შეიძლება სავაჭრო ობიექტის ღირებულება ამ უბნებში ერთნაირი იყოს.

თუ კომერციული ფართი საინტერესო ადგილას მდებარეობს, ისე სწრაფად იყიდება, რომ მის მფლობელს განცხადების გამოქვეყნებაც არ სჭირდება – დიდი სააფთიაქო ქსელები, ან ცნობილი ბრენდები სწრაფად ყიდულობენ, ან ქირაობენ მათთვის საინტერესო ობიექტებს, – აღნიშნავს ნიკა ჯაფარიძე.

Saqme.ge-ს დირექტორი ხაზს უსვამს, რომ ბოლო წლებში კომერციული ფართები საკმაოდ ძვირად ქირავდება:

– კომერციული ფართები ძალიან გააძვირეს უცხოელებმა – ისინი აქტიურად ქირაობენ საინტერესო ობიექტებს და ფასებსაც ზრდიან. მაგალითად: ალმაშენებლის გამზირზე ბოლო წლებში ქირის ფასმა საგრძნობლად მოიმატა, ადგილობრივი ბიზნესიც იძულებულია, აჰყვეს იმ ფასებს, რომელიც დღეს ამ ბაზარზე მოქმედებს და ძალაშია, – აღნიშნავს ნიკა ჯაფარიძე.

**ბი-პი-ენი**

# რეინვესტიცია 3.5-ჯერ გაიზარდა და 355 მლნ დოლარი შეადგინა




საქსტატის წინასწარი მონაცემების თანახმად, 2017 წლის ორ კვარტალში 355.1 მლნ აშშ დოლარის რეინვესტიცია განხორციელდა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, 2016 წლის ანალოგიურ პერიოდში რეინვესტიციის მაჩვენებელი 97.8 მლნ აშშ დოლარი იყო.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ნინო ჯავახაძე რეინვესტიციის ზრდას მთავრობის მიერ განხორციელებულ მოგების გადასახადის რეფორმას უკავშირებს და აცხადებს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად სააგენტოში „აწარმოე საქართველოში“ შექმნილი 12-კაციანი ჯგუფიც მუშაობს, რომელიც ნაწილობრივ უკვე დაკომპლექტებულია.

– ისინი მუშაობენ ორი მიმართულებით, ერთი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია, ესაა უკვე არსებული ინვესტორები შევინარჩუნოთ ქვეყანაში და მათ თუ რაიმე პრობლემები აქვთ, მოვუგვაროთ და დავარწმუნოთ განახორციელონ ინვესტიციები საქართველოში, მეორე მიმართულებაა ახალ ბარებზე გასვლა. ამასთან, ვფიქრობ, მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმა ერთ-ერთი წინაპირობაა რეინვესტირებისა და 44%-იანი ზრდა გაქვს წინა წელთან შედარებით, – განაცხადა ჯავახაძემ.

შეგახსენებთ, საქსტატის მიერ გამოქვეყნებული წინასწარი მონაცემების თანახმად, მეორე კვარტალში $346.6 მლნ-ისFDI განხორციელდა ქვეყანაში, რაც 14.3%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. პირველ ორ კვარტალში შემოსული უცხოური ინვესტიციების მოცულობამ კი შეადგინა 751 მლნ. აშშ დოლარი, რაც 5.5%-იან კლებას ნიშნავს.

**ბიზნესმედია**

# „ანაგი“ — კომპანია, რომელიც ქუთაისის აეროპორტში ახალ ტერმინალს ააშენებს




კომპანია „ანაგმა“ მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში. 31 აგვისტოს კი შპს „ანაგსა“ და „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებას“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ახალი ტერმინალის მშენებლობასთან დაკავშირებით.

ახალი ტერმინალი ქუთაისის აეროპორტს ერთდროულად 6 რეისის მომსახურების საშუალებას მისცემს. მშენებლობა ხელშეკრულების გაფორმებიდან 140 დღეში უნდა დასრულდეს.

აგვისტოში ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში აგვისტოში მგზავრთა ნაკადმა 50.170 შეადგინა, რაც წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით 66%-ით მეტია.

74%-ით არის გაზრდილი ქუთაისის აეროპორტიდან განხორციელებული რეისების რაოდენობაც.

2017 წლის აგვისტოს მონაცემები 211 რეისს ითვლის.

**ბიზნესმედია**

# კიევში რუსლან პაპასკირი, მეტსახელად „ზონა“, ააფეთქეს

8 სექტემბერს კიევში, ბასარაბსკის მოედანზე, ააფეთქეს საქართველოს მოქალაქე, თემურ მახაური, იგივე რუსლან პაპასკირი, მეტსახელად „ზონა“.

მანქანაში იმყოფებოდნენ ასევე ქალი და ბავშვი.

ქალი, ცნობილი უკრაინელი მოდელი და „დიორის“ ყოფილი სახე ნატალია კოშელი, ცოცხალი გადარჩა.

მისი პირადი ექიმის, დიმიტრი მისნიაკოვის, თქმით, პაციენტს სხვადასხვა სიმძიმის ტრავმები აქვს, კერძოდ კი, დამწვარი აქვს სხეულის ნაწილი, დაზიანებული აქვს ორგანოები და ასევე აქვს სხვადასხვა სახის მოტეხილობა.



დიმიტრი მისნიაკოვის თქმით, ნატალია კოშელს ფეხის ამპუტაცია ჩაუტარდა.

ექიმის განცხადებით, დაზიანებები სერიოზულია და რთულია რაიმეს პროგნოზირება.

აფეთქებისას ავტომობილში მოდელის შვილიც იმყოფებოდა, რომელმაც სხეულის 10% დამწვრობა მიიღო. ისიც ცოცხალი გადარჩა.

აფეთქებას ტერაქტის კვალიფიკაცია მიენიჭა. შესაბამისად, საქმე გამოსაძიებლად უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროდან უკრაინის უშიშროების სამსახურში წავიდა.

* * *

რუსლან პაპასკირი რამდენიმე გახმაურებულ საქმეში ფიგურირებდა.

გაზეთ „კვირის პალიტრის“ ინფორმაციით, „ზონა“, იგივე რუსლან პაპასკირი, იგივე თემურ მახაური, 2012 წლის ნოემბერში თურქმა სამართალდამცავებმა დააკავეს. მისმა სახელმა ლაფანყურის ოპერაციის საქმეშიც გაიჟღერა. გამოცემის ცნობით, როგორც ქისტები პირად საუბრებში ამბობდნენ, მეომრების რეკრუტირებასა და მომზადებაში ზელიმხან ხანგოშვილის – „დიშნას“ გარდა, „ზონაც“ იყო ჩართული.

ამასთან, „ზონას“ სახელი ფიგურირებდა სამხედრო პოლიციის ყოფილი უფროსის, გია დგებუაძის, იგივე „მასტერას“ საქმეშიც“.

„2007 წელს ქართველი მილიარდერის ბადრი პატარკაციშვილის პოლიტიკურ პროცესებში ჩართვამ იმდროინდელ ხელისუფლებას მოსვენება დაუკარგა. ქართველმა სპეცსამსახურებმა გადაწყვიტეს, თავიდან მოეშორებინათ აბეზარი ბიზნესმენი. საქმეში გარკვევა და ბოლომდე მიყვანა ამჯერადაც „მასტერას“ მიანდეს. მან მსგავსი საქმეების უბადლო ოსტატი უვაის ახმადოვი გაიხსენა. ისინი ერთმანეთს, სავარაუდოდ, დუბაიში შეხვდნენ.

ცხრა ძმა ახმადოვს ჩეჩნეთში ყველა იცნობდა. ომის დროს საველე მეთაურები იყვნენ, მშვიდობიანობის დროს კი ადამიანების გატაცებაში ბადალი არ ჰყავდათ. დადიოდა ლეგენდები, რომ მათ შეეძლოთ მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან გაეტაცებინათ ნებისმიერი რაოდენობის ადამიანი. ომსა და კრიმინალურ გარჩევებს ცოცხალი ორი ძმა გადაურჩა. ისინი 2001-2003 წლებში პანკისის ხეობაში ანტიტერორისტული ცენტრის ქოლგის ქვეშ მშვიდად აგრძელებდნენ ჩვეულ საქმიანობას.

„მასტერა“-ახმადოვის მოლაპარაკებებისას დასახელდა კიდეც პატარკაციშვილის კილერის კონკრეტული გვარი – ეს რუსლან პაპასკირი („ზონა“) უნდა ყოფილიყო, რომელიც მაშინ სტამბოლში დოკუ უმაროვის თანამოაზრეებზე ნადირობდა. შესაჯერებელი იყო მკვლელობის დეტალები, აჯობებდა, მკვლელობა ჰაერში მომხდარიყო. თითქოს ყველაფერზე შეთანხმდნენ, მაგრამ მოულოდნელად ახმადოვმა საქმეზე უარი თქვა“, – წერდა გამოცემა.

გაზეთის ჟურნალისტის, ნინო ბურჭულაძის, ინფორმაციით, „ზონა“ ჩეჩნეთიდან თბილისში 2005-2006 წლებში გამოჩნდა.

„ძირითადად საქმიანობდა თბილისში. 2010 წელს, ვაჟა-ფშაველაზე, საცხოვრებელ სახლთან ხელყუმბარა აუფეთქეს და დაშავდა. ამ ინციდენტის მიზეზად თავის დროზე, შიდაკლანური გარჩევები დასახელდა იმიტომ, რომ რუსლან პაპასკირი გარკვეულ ჩეჩნურ წრეებში საკმაოდ გავლენიან პირად მიიჩნეოდა. მოგვიანებით, 2012 წლის ნოემბერში ის დააკავეს სტამბოლში, ბრალად ედებოდა გავლენიანი ჩეჩენი სულიერი ლიდერის მკვლელობა, ის იჯდა კიდევაც სტამბოლის ციხეში.

როგორც მოგვიანებით გამოძიებამ დაადგინა, მას მკვლელობა არ ჩაუდენია, რადგან, როგორც ვიცი, იმ დროისთვის საქართველოში იმყოფებოდა. ბრალდების ვერდამტკიცების გამო, 2016 წლის ზაფხულში ციხიდან გამოუშვეს. ის პირდაპირ უკრაინაში წავიდა და, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის იმჟამინდელ მოადგილესთან, გია ლორთქიფანიძესთან. პაპასკირი უკრაინაში ძირითადად ჩეჩნურ დიასპორაში ტრიალებდა“, – წერს ნინო ბურჭულაძე.

* * *

უკრაინის სპეცსამსახურებმა რუსლან პაპასკირის შესახებ განაცხადეს, რომ ის რამზან კადიროვის მტერი იყო.

– ყველანაირი საშუალებით ებრძოდა პუტინის რეჟიმს, იყო რამზან კადიროვის პირადი მტერი. რუსეთისა და ჩეჩნეთის სპეცსამსახურების მიერ დევნილი იყო. 1999-2000 წლებში დაღესტანში რუსეთის სამხედრო ძალების წინააღმდეგ იბრძოდა, ამ დროს ის დაჭრეს, – აღნიშნულია უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

მასში ასევე ნათქვამია, რომ რუსლან პაპასკირი საქართველოს მხარეს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომშიც მონაწილეობდა.

განცხადებაში ნათქვამია, რომ რუსლან პაპასკირის მკვლელობა 3-ჯერ ცადეს, მათ შორის 2009 წლის 8 მარტს, თბილისში, როდესაც მან მცირე დაზიანებები მიიღო.

**ინტერპრესნიუსი, ამბები.გე**



# კობა გოგატიშვილი: „ირაკლი ფირცხალავას ოჯახი 30.000 დოლარს მთავაზობდა და შუბლის გახვრეტით მემუქრებოდა“

„კორტების სპეცოპერაციის“ საქმის მთავარი მოწმე კობა გოგატიშვილი აცხადებს, რომ მასზე ზეწოლა ხორციელდება.

მისი თქმით, საქმეზე ბრალდებულ ირაკლი ფირცხალავას მეუღლე და შვილი გოგატიშვილზე ზეწოლას ახორციელებდნენ.

როგორც მოწმემ პრესკონფერენციაზე თქვა, ფირცხალავას შვილი მას „შუბლის გახვრეტით“ დაემუქრა.

– მე კორტების სპეცოპერაციის თვითმხილველი ვარ. ფირცხალავას ოჯახის წევრებისა და ახლობლების მხრიდან ჩემზე ზეწოლა და მუქარა განხორციელდა. მათ ჩემგან ჩვენების შეცვლა მოითხოვეს და სანაცვლოდ 30 ათასი დოლარი და საზღვარგარეთ უზრუნველყოფილი ცხოვრება შემომთავაზეს.

მათ სურდათ მეთქვა, რომ კორტებთან მოგვიანებით მივედი; მეუბნებოდნენ – სიმართლეს რომ ჰგავდეს, თქვი, რომ პროკურორებმა მოახდინეს ზეწოლაო, რეალურად კი არავისგან ზეწოლა არ ყოფილა. შეხვედრაზე ფირცხალავას მეუღლისა და შვილის გარდა, ასევე სხვა კაცებიც იყვნენ, რომლებისაც შემეშინდა და ვთქვი, რომ ყველაფერს გავაკეთებდი. მათ სახალხო დამცველთან მიმიყვანეს და იქ უნდა მეთქვა ყველაფერი, რაც დამაზეპირებინეს. ვიდრე შევიდოდი, მანქანაში ფირცხალავას შვილი მომიბრუნდა და მითხრა – თუ ჩვენებას არ შეცვლი, შუბლს გაგიხვრეტენო, – განაცხადა კობა გოგატიშვილმა.



მან დასძინა, რომ სახალხო დამცველთან მისულმა ცუდად ყოფნა მოიმიზეზა, რის გამოც შეხვედრა ჩაიშალა.

გოგატიშვილის თქმით, ამ შეხვედრას ფირცხალავას ახლობლები ფარულად იწერდნენ, გოგატიშვილი სრული ჩანაწერის გამოქვეყნებას მოითხოვს. ამასთან, მოწმე ამბობს, რომ მუქარის შესახებ სამართალდამცავ უწყებას მიმართა და გამოძიება უკვე რამდენიმე თვეა, მიმდინარეობს.

კობა გოგატიშვილზე ზეწოლისა და მუქარის შესახებ 8 სექტემბერს „კორტების სპეცოპერაციის“ დროს დაღუპული ზურაბ ვაზაგაშვილის ოჯახმა განაცხადა და გამოძიების დაწყება მოითხოვა.

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, 2017 წლის 8 სექტემბერს, საქართველოს მთავარ პროკურატურაში მოწმის სახით გამოკითხვის მიზნით დაბარებულები იყვნენ ირაკლი ფირცხალავას მეუღლე, შვილი, ასევე ადვოკატები.

გიორგი ცააძესა და ირაკლი ფირცხალავას 2006 წლის მაისში კორტების მიმდებარედ, ზურაბ ვაზაგაშვილის და ალექსანდრე ხუბულოვის მკვლელობას და მკვლელობის ორგანიზებას ედავებიან. საქალაქო სასამართლომ გიორგი ცააძესა და ირაკლი ფირცხალავას განზრახ მკვლელობისთვის 12-12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

* * *

ირაკლი ფირცხალავას მეუღლემ რუსთავი 2-ს აუდიოჩანაწერი გადასცა, რომელიც, მისი თქმით, მას და საქმის მოწმის კობა გოგატიშვილის სატელეფონო საუბარს ასახავს.

რ2-ის ინფორმაციით, ჩანაწერში, რომლის ხანგრძლივობაც 40 წუთია, გოგატიშვილი პროკურატურის მხრიდან ზეწოლაზე საუბრობს და ამ კონტექსტში მთავარი პროკურორის პირველ მოადგილეს მამუკა ვასაძეს ახსენებს.

აუდიოჩანაწერის მიხედვით, კახა გოგატიშვილი თავად მიჰყვება ნინო ხვიტიას სახალხო დამცველის ოფისში და ითხოვს უსაფრთხოების გარანტიებს.

აღნიშნულ ჩანაწერთან დაკავშირებით გოგატიშვილმა ჟურნალისტებთან განმარტების გაკეთება არ ისურვა და ფირცხალავას ოჯახი ზეწოლაში კიდევ ერთხელ დაადანაშაულა.

მისი თქმით, ფრაზა, რომ პროკურატურაში შავი ჯიპებითა და საშვის გარეშე შედის, მას არ უთქვამს და არც მამუკა ვასაძე უხსენებია.

## სროლა ტყვარჩელის ბაზართან – ძმებმა მინაიებმა ლაკირბაია და ხაშბა დაჭრეს




ოკუპირებული აფხაზეთის ქალაქ ტყვარჩელში, ცენტრალური ბაზრის შესასვლელთან, სისხლიანი გარჩევა, რომელსაც თან სროლაც ერთვოდა, ორი ადამიანის სიკვდილის მიზეზი გახდა. ერთი მძიმედ დაჭრილი პირი სოხუმშია გადაყვანილი.

ინფორმაციით, რომელსაც ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. შსს ავრცელებს, ტყვარჩელში მცხოვრებ ძმებ მინაიებსა და რამდენიმე ადგილობრივს შორის ჩხუბი მოხდა, რის შემდეგაც ძმებმა მინაიებმა ადგილი დატოვეს, თუმცა, მალევე დაბრუნდნენ და ბაზრის შესასვლელთან შეკრებილ მოქალაქეებს ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც ერიკ ლაკირბაია და დიმიტრი ხაშბა მძიმედ დაიჭრნენ.

ორივე დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა, ექიმებმა ლაკირბაიას გადარჩენა ვერ მოახერხეს, ხოლო ხიშბა სოხუმში გადაიყვანეს და ამ დრომდე მართვად სუნთქვაზეა. მისი მდგომარეობა მძიმეა.

შემთხვევა 4 სექტემბერს მოხდა, ხოლო მეორე დღეს, დილით, საკუთარ საცხოვრებელ სახლში მისი კუთვნილი იარაღიდან გასროლით თავი მოიკლა კონფლიქტის ერთერთმა მონაწილემ თემურ მინაიამ. მან სიცოცხლე თავში გასროლით მოისწრაფა.

**აფხაზეთის ხმა**

## დედოფლისწყაროში კირქვის ქარხანა გაქურდეს და 80 წლის დარაჯს სასტიკად გაუსწორდნენ

9 სექტემბერს, გამთენიისას, დედოფლისწყაროში კირქვის ქარხანა „არწივის ხეობა“ გაქურდეს. ქურდობის დროს შენობაში დარაჯი, 80 წლის მამაკაცი იმყოფებოდა, რომელმაც ბოროტმოქმედების შეჩერება ცადა, მძარცველებმა კი ხანდაზმული მამაკაცი დააბეს და აწამეს.

დაშავებული მამაკაცი ჯერ დედოფლისწყაროს საავადმყოფოში, შემდეგ კი ტომოგრაფიული კვლევისთვის თბილისში გადაიყვანეს.




შენობიდან წაღებულია დიდი რაოდენობის კაბელები.

ეჭვობენ, რომ თავდასხმა შესაძლოა ახალგაზრდების ჯგუფმა მოაწყო, რომელიც წინა დღეს ქარხნის ეზოში შენიშნეს და რომელიც ირწმუნებოდა, რომ დაკარგულ ძაღლს ეძებდა.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება 126-ე (ძალადობის) და 177-ე ( ქურდობის) მუხლებით მიმდინარეობს.

## თბილისის აეროპორტში ნარკოდანაშაულისთვის ირანის მოქალაქე დააკავეს



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე, 1973 წელს დაბადებული ბ.ფ. ნარკოდანაშაულისთვის თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, სხვადასხვა დასახელების ნარკოტიკული საშუალება: 48,2811 გრამი კოდეინი, 1 კგ. და 112 გრამი მორფინის მარილი და 3,5006 გრამი თებაინი ამოიღეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

# უკრაინა: „დონბასში გაეროს სამშვიდობო ჯარებში რუსები არ უნდა იყვნენ“



უკრაინამ დაიწუნა დონბასში გაეროს სამშვიდობოების ჩაყენების პუტინისეული გეგმა. მან გაეროში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების ჩაყენების საკუთარი პროექტი წარადგინა.

— ჩვენი პროექტი რუსულისგან ბევრად განსხვავდება, — განაცხადა უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის თავკაცის მოადგილე კონსტანტინე ელისეევმა.

უკრაინელები წინააღმდეგნი არიან იმისა, რომ საერთაშორისო სამშვიდობო კონტინგენტში რუსეთის არმიის წარმომადგენლებიც იყვნენ.

— რუსული არმია უკრაინის ტერიტორიაზე შემოიჭრა. რუსები მხარს უჭერენ სეპარატისტებს. შესაბამისად, დაუშვებელია, რომ რუსი ჯარისკაცები უკრაინაში ჩაყენებულ გაეროს სამშვიდობო კონტინგენტში ვიხილოთ, — თქვა ელისეევმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ დონბასის პრობლემა უნდა მოგვარდეს. გამორიცხულია კონფლიქტის გაყინვა, როგორც ეს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მოხდა. გამორიცხულია „დნესტრიზაციაც“. დონბასის კონფლიქტის მოგვარების ერთადერთი საშუალება რეგიონიდან რუსული არმიის გასვლა, სეპარატისტების განაიარაღება, გამნაღმავი სამუშაოების ჩატარება და რუსეთ-უკრაინის საზღვრის დონბასის მონაკვეთზე უკრაინელთა კონტროლის სრული აღდგენაა.

— საამისოდ კი გაეროს სამშვიდობოები დონბასის მთელ ტერიტორიაზე უნდა განლაგდნენ, — განაცხადა ელისეევმა.

დონბასში შექმნილ მდგომარეობაზე ისაუბრა უკრაინის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე სელეზნიოვმა.

რადიო „თავისუფლებისადმი“ მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ დონბასში მშვიდობის დამყარებამდე ჯერ ძალიან შორია. დონბასში 40.000-იანი ფორმირება იმყოფება. აქედან 12.000 რუსული რეგულარული არმიის ჯარისკაცია, დანარჩენები კაზაკები, დნესტრისპირელი, აფხაზი, ოსი, აგრეთვე რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან ჩასული ბოევიკები არიან. უშუალოდ დონბასის მცხოვრებთა რაოდენობა 10.000-ს არ აღემატება, რუსეთ-უკრაინის დონბასის საზღვარზე კი 40.000-იანი არმიაა განლაგებული.

სელეზნიოვის აზრით, მისი ქვეყანა რუსული ინტერვენციის საფრთხის წინაშე კვლავაც დგას.

— ჩვენ, სამხედროები, რუსებს საკადრის პასუხს გავცემთ, ჩვენი პოლიტიკოსები კი ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ მშვიდობა დამყარდეს. ამის დასტურია ის პროექტი, რომელიც უკრაინამ გაეროში წარადგინა, — ამბობს სელეზნიოვი.

შვედეთის ყოფილი პრემიერი კარლ ბილდტი აღნიშნავს, რომ პუტინის ინიციატივა დიდადაა განპირობებული აშშ-ის მიერ უკრაინისათვის თანამედროვე ლეტალური იარაღის მიწოდების პერსპექტივით. რუსეთის პრეზიდენტმა გარკვეულწილად უკან დაიხია.

— მოვუწოდებ ამერიკელებს, უკრაინას ლეტალური იარაღი რაც შეიძლება სწრაფად მიაწოდონ. ამით დონბასში მშვიდობის დამყარება დაჩქარდება, — წერს ბილდტი.

გაზეთი „სლოვო ი დელო“ აღნიშნავს, რომ პუტინს უკრაინის გარშემო გამართულ პროპაგანდისტულ ომში ინიციატივის ხელში აღება სურს. ამითაა განპირობებული მისი ინიციატივა დონბასში გაეროს მშვიდობისმყოფელების ჩაყენების შესახებ.

— უკრაინელებმა, შეიტანეს რა გაეროში საკუთარ პროექტი, ამით პუტინს პროპაგანდისტულ ომში ინიციატივის ხელში აღების საშუალება არ მისცეს, — წერს „სლოვო ი დელო“.

## იულია ლატინინამ რუსეთი დატოვა



ცნობილმა რუსმა ჟურნალისტმა იულია ლატინინამ რუსეთი დატოვა. ის ქვეყნიდან მშობლებთან ერთად გაემგზავრა.

„ეხო მოსკვისადმი“ მიცემულ ინტერვიუში ლატინინამ განაცხადა, რომ ხელისუფლებისგან სისტემატურ ტერორს განიცდიდა. მას ურეკავდნენ, ემუქრებოდნენ, აშანტაჟებდნენ. უკანასკნელმა შემთხვევამ კი, როცა ლატინინას მანქანა დაწვეს, მისი ახლობლების მოთმინების ფიალა საბოლოოდ აავსო.

— პუტინის რუსეთი ისეთი საზიზღარია, რომ წესიერ ადამიანს აქ არ დაედგომება, — განაცხადა ლატინინამ.

## იენს სტოლტენბერგი: „რუსეთ-ბელორუსის სამხედრო სწავლებებით ომის საფრთხე იზრდება“



ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ საერთაშორისო მდგომარეობა იძაბება. ამისი მიზეზია ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული იარაღის გამოცდა, ტერორიზმი, აგრეთვე რუსეთის აგრესიული პოლიტიკა.

— რუსეთ-ბელორუსის საერთო სამხედრო წვრთნები საფრთხეს ქმნის. რუსები ნატოელ დამკვირვებლებს საშუალებას არ აძლევენ, თავიანთი მოვალეობა შეასრულონ, — განაცხადა სტოლტენბერგმა.

ნატოს გენერალური მდივნის აზრით, რუსეთ-ბელორუსის ერთობლივი სწავლების შედეგად საფრთხე ექმნება როგორც უკრაინას, ასევე პოლონეთსა და ბალტიისპირეთსაც.

— ამრიგად, ამ სწავლებებით ომის საფრთხე ძლიერდება, — განაცხადა სტოლტენბერგმა.

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლინკიავიჩუსმა განაცხადა, რომ რუსეთისა და ბელორუსის სამხედრო სწავლება „დასავლეთი 2017“ მის ქვეყანას საფრთხეს უქმნის.

— ყირიმის ანექსიას წინ სწორედ სამხედრო სწავლებები უძღოდა. ასე მოხდა საქართველოშიც, როცა ცხინვალთან ომი დაიწყო, — თქვა ლინკიავიჩუსმა.

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა რუსეთს სამხედრო სწავლების გაუქმება მოსთხოვა.

— თუკი მართლა გსურთ, რომ რეგიონში მშვიდობა იყოს, აღნიშნული სამხედრო სწავლება უნდა გააუქმოთ, — თქვა მინისტრმა.

## აშშ ბახრეინს იარაღს მიჰყიდის



პრეზიდენტმა ტრამპმა ბახრეინისათვის იარაღის დიდი პარტიის მიყიდვას მხარი დაუჭირა.

შარშან ამ დროს აშშ-ის კონგრესმა ბახრეინისთვის იარაღის მიწოდება დაბლოკა.

მიზეზი ბახრეინში ადამიანის უფლებების დარღვევა იყო.

ახლა აშშ-ბახრეინს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება იარაღის მიყიდვის შესახებ. საუბარია 3,8 მილიარდი დოლარის ღირებულების სამხედრო ტექნიკაზე, რომელსაც აშშ ბახრეინს მიაწვდის.

## საპროტესტო აქცია ლონდონში



11 სექტემბერს ბრიტანეთის პარლამენტი განიხილავს კანონპროექტს ევროკავშირიდან გასვლის შესახებ.

ლონდონში ამასთან დაკავშირებით საპროტესტო მსვლელობა გაიმართა. მასში მონაწილეობა 50.000-მდე ადამიანმა მიიღო.

— არა ბრექსიტს! ჩვენ ევროკავშირი გვსურს! — სკანდირებდნენ მანიფესტანტები.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

### ზოოპარკში სპილომ და ბატმა იწუწავეს



ამერიკის იუტის შტატში მდებარე ჰოგლის ზოოპარკში ვიდეოჩანაწერში მოხვდა აფრიკული სპილო, რომელიც წყლით წუწავდა კანადურ ბატს. ამის ამსახველი ვიდეორგოლი ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

გამოცემის ვარაუდით, ცხოველებმა ხუმრობით იჩხუბეს. ასევე აღნიშნულია, რომ მიუხედავად ზომების აშკარა არათანაფარდობისა, სპილომ ვერ მოახერხა ფრინველის დაჯაბნა და ბოლოს იმ ადგილს გასცილდა.

### პრინცესა დიანას ძვირფასეულობა აუქციონზე გაიყიდება



საიუველირო სამკაულები, გარდერობის ნივთები, ფოტოსურათები და პირადი ქაღალდები, რომლებიც პრინცესა დიანას ეკუთვნოდა, ბოსტონში 13 სექტემბერს გამართულ აუქციონზე გაიყიდება.

პრინცესა დიანას გარდაცვალებიდან 20 წელზე მეტი გავიდა. ამჯერად აშშ-ში გამართულ აუქციონზე იმ 79 ნივთს გამოიტანენ გასაყიდად, რომლითაც ის მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში სარგებლობდა, მათ შორის ბავშვობასა და ყმაწვილქალობაში. ლოტებს შორისაა ისეთი ნივთები, რომლებიც მან საქველმოქმედო ორგანიზაციას პარიზის ავტოკატასტროფამდე ერთი თვით ადრე გადასცა.

ყველაზე საინტერესო ნივთია სალამოს აბრეშუმის ჩანთა, რომელიც ვერცხლითაა გაწყობილი და რომელიც ლედი დის 80-იანი წლების დასაწყისში ეკუთვნოდა. ის მან სამეფო სასახლის მოსამსახურეს აჩუქა და მას ახლავს მისი წერილი, რომელიც მის ნამდვილობას ადასტურებს. გარდა ამისა, აუქციონზე გაიყიდება პრინცესა დიანასა და პრინც ჩარლზის ქორწილის ტორტის ნაჭერი, ლედი დის თეთრი ჯემპრი, რომელსაც დიანა ახალგაზრდობაში იცვამდა და სხვა ნივთები.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.**

**ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.**

**მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### ვასწავლი

● მოვამზადებ ინგლისურსა და რუსულ ენებში დიპლომატიური განათლებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, შეღავათიან ფასებში. მის.: ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქ. №118. ტელ.: 593-90-73-13, თამარი.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა — კალცი აუცილებელია გონებრივი განვითარებისათვის, ძვლიან-კუნთოვანი ჩონჩხისთვის, იმუნიტეტისათვის. 95%-ით აითვისება ორგანიზმის მიერ. ტელ: 599-61-75-82.

● გინდა იყო მუდამ ჯანმრთელი? მთელი ორგანიზმის დიაგნოსტიკა — პრობლემების გამოვლინება ადრეულ სტადიაზე. აქცია თვის ბოლომდე, კუპონის წარმომადგენელს ფასდაკლება 30%. ტელ: 595-472-471.

● ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ოზონატორი არის მთელი ოჯახის ჯანმრთელობის საწყისი: ხილისა და ბოსტნეულის დეზინფექცია; წყლისა და საბავშვო ჭურჭლის, სათამაშოების გაწმენდა. ტელ: 599-61-75-82.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# სამტრედიამ მოიგო, დინამომ ქულა გადაარჩინა, ტორპედომ წააგო




**დინამო (თბ)-შუქურა 1:1**

**თბილისი. დინამო არენა**

0:1 შალამბერიძე (71), 1:1 ლილუაშვილი (90)

**დინამო:** რევიშვილი, თოთაძე, კობოური, სალუქვაძე, გეგეჭკორი, ქარდავა, ნინუა (ლილუაშვილი 72), ქოჩლაძე (ზარია 62), შულაია, ერგემლიძე (კუცია 54), მიქელთაძე

**შუქურა:** მელნიჩენკო, დასე, კალანდაძე, გოგიტიძე, კახელიშვილი, კლიმიაშვილი, მალაზონია (დაგარგულია 82), გურული, თუხარელი (ართმელაძე 57), შალამბერიძე (ცეცხლაძე 88), მარსელინიუ

**გაძევება:** კახელიშვილი (80)

თითქოს იოლი 3 ქულა უნდა აეღო დინამოს, მაგრამ მატჩის გადარჩენა მხოლოდ მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში მოახერხა და მხოლოდ ქულას დასჯერდა.

არადა, პირველ ტაიმში დინამოს უპირატესობა აშკარა იყო. ქობულეთელთა კარი ორჯერ ძელმა იხსნა: ჯერ მიქელთაძის თავური დარტყმის შემდეგ, მერე კი აკაკი შულაიას ასევე თავით დარტყმული ხარიხას მოხვდა. ტაიმის ბოლოს სტუმართა კარი კიდევ ერთხელ გადარჩა. მიქელთაძის პასის შემდეგ ლაშა ქოჩლაძეს მართებდა გატანა, მაგრამ დარტყმული ბურთი ოდნავ ასცდა კარს.

მეორე ნახევარი ისევ მასპინძელთა შეტევით განახლდა და 62-ე წუთზე უკვე ქოჩლაძეს კიდევ ერთხელ მართებდა გატანა, როდესაც ნიკა ნინუას პასით მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მელნიჩენკოს ვერ აჯობა.

71-ე წუთზე მასპინძლებს კონტრშეტევა გამოეპარათ და კობა შალამბერიძემ გახსნა ანგარიში – 0:1.

10 წუთში შუქურა კაცნაკლული დარჩა – გიორგი კახელიშვილმა მსაჯისგან მეორე ყვითელი ბარათი დაიმსახურა და მოედანი დატოვა.

დინამოელებმა შეტევებს უმატეს, რამაც შედეგი მსაჯის მიერ კომპენსირებული დროის მე-3 წუთზე გამოიღო. მიქელთაძემ შორიდან გაისროლა, მისი დარტყმული მელნიჩენკომ მოიგერია, დასწრებაზე კი ენვერ ლილუაშვილმა ითამაშა კარგად, ანგარიში გაათანაბრა და დინამომ ზედიზედ 23-ე მატჩში გაიტანა გოლი.

თბილისელებს ბოლო წუთზე მოგებაც შეეძლოთ, ლაშა თოთაძემ დაახლოებით 25 მეტრიდან ძლიერად შეასრულა საჯარიმო დარტყმა, ბურთი კი ისევ კარის ძელმა უკუაგდო. საბოლოოდ – 1:1.

**ტორპედო-ჩიხურა 0:2**

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

0:1 ჭელიძე (56), 0:2 ტატანაშვილი (75)

**ტორპედო:** კვასხვაძე, ადამაძე (ტაბატაძე 46), ხურცილავა, ბაბუნაშვილი, ფალავანდიშვილი, კუტალია, დოლიძე, ქიმაძე, გურული (მამასახლისი 60), გიგაური (კაპანაძე 65), კუჭუხიძე

**ჩიხურა:** მწყერაშვილი, თორ.გრიგალაშვილი (ჩიკვაიძე 70), მირცხულავა, გაბედავა, სარდალიშვილი (ფონიავა 59), კორიფაძე, ტატანაშვილი, ივანიშვილი, დობროვოლსკი, ჭელიძე (კაკუბავა 59), კაშია

მასპინძლების უფრო მნიშვნელოვანი იყო 3 ქულა და ამიტომ თავიდანვე შეუტიეს მეტოქეს და პირველ ტაიმში რამდენიმე კარგი შანსი გაანიავეს – ორჯერ გიგაურს, ხოლო ერთხელ დოლიძეს შეეძლო გატანა.

თავის მხრივ, კონტრშეტევაზე მოთამაშე ჩიხურასაც ჰქონდა შანსი, როდესაც მასპინძელთა დაცვა ჩავარდა, მაგრამ კვასხვაძემ იხსნა ტორპედო.

უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ ტორპედომ ისევ აქტიურად შეუტია და ჩიხურას კართან ხიფათი ხიფათზე იქმნებოდა. ქიმაძემ სულაც რეალური საგოლე მომენტი გაანიავა. თუმცა მასპინძელთა დაცვის მორიგი ჩავარდნა და ჭელიძემ, რომელიც თითქმის მოედნის ცენტრიდან დარჩა პირისპირ მეკარესთან, ანგარიში გახსნა. ეს 56-ე წუთზე მოხდა.

ტორპედომ გააფთრებით შეუტია და ჩიხურა 1 წუთში ორჯერ გადარჩა. ჯერ კუტალიას დარტყმული ძელისა და ხარიხის გადაკვეთას მოხვდა, შემდეგ კი ხურცილავას დარტყმული ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა მირცხულავამ.

76-ე წუთზე ტორპედო უყურადღებობისთვის ისევ დაისაჯა – ფონიავას პასის შემდეგ ტატანაშვილი პირისპირ დარჩა მეკარესთან და ეროვნულ ლიგაში თავისი მე-13 გოლი გაიტანა – 0:2.

ჩიხურამ ამის შემდეგ კარგად დაიცვა თავი და 3 ქულა წავიდა სახლში.

**კოლხეთი-სამტრედია 1:3**

**ბათუმი. რაგბი არენა**

0:1 სამუშია (13), 0:2 მჭედლიშვილი (54), 0:3 გიი (67), 1:3 ბუხაიძე (70)

**კოლხეთი:** სეფიაშვილი, გ.კილასონია, ნონდი (შალიკაშვილი 76), კერძევაძე, კაკულია (ბახია 70), ბროვკო (კოკაია 80), დერებჩინსკი, ოტიენო, ჯანელიძე, მაჩარია, ბუხაიძე

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, მჭედლიშვილი, გოგიაშვილი, სანდოხაძე, კასრაძე, ბალდე (ახალაძე 37), მანჯგალაძე, დათუნაიშვილი, რაჟამაშვილი, სამუშია (გიი 63), საბანაძე

სამტრედიამ კარგად ისარგებლა თავიანთი კონკურენტების წაფორხილებით და სატურნირო ცხრილი გაიუმჯობესა.

მატჩი გუნდებმა მშვიდ ტემპში დაიწყეს, მაგრამ მე-13 წუთზე სამტრედია მომენტალურად „აფეთქდა“. რაჟამაშვილის პასით სამუშიამ კარგ პოზიციაში მიიღო ბურთი, კოლხ მცველს გასცდა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა შორეულ კუთხეში დაურტყა.

ტაიმის ბოლომდე რაიმე განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, მაგრამ ბოლო წუთზე მასპინძლებს შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, თუმცა, ბუხაიძის დარტყმული ბურთი მიგინეიშვილმა კუთხურზე მოიგერია.

მეორე ტაიმიც მშვიდი იყო, ბურთს კოლხები აკონტროლებდნენ, სამტრედია მშვიდად იცავდა თავს. 54-ე წუთზე კი გრძელი პასის შემდეგ მჭედლიშვილმა კარგად ირბინა მარჯვენა ფლანგზე, მცველებმა ხელი ვერ შეუშალეს და სამტრედიელთა მცველმა თავისიანები კიდევ უფრო დააწინაურა – 2:0.

გოლის შემდეგ სამტრედია უფრო ლაღად ათამაშდა, ამას თან დაერთო მოედანზე გიის გამოსვლა, რომელმაც 67-ე წუთზე მესამედ დაამწუხრა სეფიაშვილი.

მალევე კოლხებმა ერთი გოლი გაქვითეს – ბუხაიძემ მარცხნიდან შეუტია და საჯარიმოს გარედან ძლიერი დარტყმით გაუტანა მიგინეიშვილს.

ფოთელებმა გაიბრძოლეს. ჯანელიძე ცდილობდა გატანას, მაგრამ მიგინეიშვილს ვერ აჯობა, ხოლო დერებჩინსკის დარტყმული კარს ასცდა.

საპასუხოდ საბანაძეს ჰქონდა ასპროცენტიანი შანსი, მაგრამ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა კარს გადააშორა. რამდენიმე წუთში იმავე საბანაძეს სეფიაშვილმა აჯობა. სეფიაშვილმა მჭედლიშვილსაც აუღო რთული ბურთი და მატჩი სტუმართა გამარჯვებით დასრულდა – 3:1.

**ლოკომოტივი-დილა 4:2**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

1;0 არველაძე (6), 2:0 გოროზია (23), 3:0 დიასამიძე (45), 3:1 კობახიძე (54სკ), 4:1 კიკაბიძე (70), 4:2 თევდორაძე (85სკ)

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ჭანტურია, სიხარულიძე, ქავთარაძე, დიასამიძე, გოროზია (ვარძელაშვილი 72), არველაძე (კიკაბიძე 58), კობახიძე (ქურდაძე 73), რეხვიაშვილი, უბილავა, სამურკასოვი

**დილა:** მუჯრიშვილი, დერეტი (გოგატიშვილი 46), აბუბაკარი, მორასი, ნუბიო, კვახაძე, სოფრომაძე, კირკიტაძე, რაზმაძე, ძარია (ნონიკაშვილი 67), ფანცულია (კუსიანი 51)

**გაძევება:** მორასი (43)

საქართველოს ეროვნული ლიგის 25-ე ტურში, ლოკომოტივმა მორიგი 3 ქულა მოიპოვა. გიორგი დევდარიანის გუნდმა გორის დილა დაამარცხა – 4:2.

მატჩი ლოკოს უპირატესობით დაიწყო და ანგარიშიც მალე გახსნა. მე-6 წუთზე ლოკომოტივი ვატო არველაძემ დააწინაურა, რომელმაც გიორგი გოროზიას პასით გაიტანა. 23-ე წუთზე, გატანა თავად გოროზიამ მოახერხა – 2:0.

43-ე წუთზე დილა მოედანზე 10 ფეხბურთელით დარჩა. მთავარმა მსაჯმა ქავთარაძესთან უხეშობისთვის გილერმე მორასს წითელი ბარათი უჩვენა.

ტაიმის ბოლო წუთზე გოლი გეგა დიასამიძემ გაიტანა. ლოკოს 10-იანმა მიმდინარე სეზონში პირველად მოახერხა ოფიციალურ მატჩში გატანა. ასისტენტობა გიორგი რეხვიაშვილმა გაუწია.

მეორე ნახევრის დებიუტში ლოკომოტივმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა: ზედიზედ ორჯერ გატანა შეეძლო ეროვნული ლიგის ბომბარდირს, თუმცა სიხარულიძეს პირველ შემთხვევაში სტუმართა მეკარემ აჯობა, მეორედ კი ბურთი კარს მცირე მანძილით ააცილა.

54-ე წუთზე დილამ ერთი ბურთი გაქვითა. კუთხურიდან მოწოდებულ ბურთზე საჯარიმოში ყველას სტუმართა მცველმა ოთარ კუსიანმა დაასწრო. დილას მცველის თავური დარტყმის შემდეგ ბურთი მამუკა კობახიძეს მოხვდა და თევდორაძის კარში აღმოჩნდა.

თავისი გოლი შეცვლაზე შესულმა ლუკა კიკაბიძემაც გაიტანა – ქავთარაძის პასის შემდეგ მუჯრიშვილს აუღებელი დაურტყა.

მატჩის საბოლოო ანგარიში 85-ე წუთზე დაფიქსირდა. ფლავიო ნუბიოს თავური დარტყმის შემდეგ რევაზ თევდორაძემ ბურთი ხელებში ვერ შეიმაგრა და ავტოგოლი ჩაეთვალა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 25 | 18 | 3 | 4 | 63-18 | 57 |
| 2.ტორპედო | 25 | 14 | 6 | 5 | 34-20 | 48 |
| 3.სამტრედია | 25 | 14 | 6 | 5 | 39-25 | 48 |
| 4.ლოკომოტივი | 25 | 13 | 3 | 9 | 46-33 | 42 |
| 5.ჩიხურა | 25 | 11 | 4 | 10 | 32-39 | 37 |
| 6.საბურთალო | 24 | 10 | 4 | 10 | 32-28 | 34 |
| 7.დინამო (ბთ) | 24 | 8 | 2 | 14 | 22-32 | 26 |
| 8.დილა | 25 | 6 | 7 | 12 | 30-39 | 25 |
| 9.კოლხეთი | 25 | 4 | 7 | 14 | 22-46 | 19 |
| 10.შუქურა | 25 | 2 | 6 | 17 | 23-63 | 12 |

## შედეგები

**9 სექტემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სიტი-ლივერპული ........................ 5:0
არსენალი-ბორნმუთი .................. 3:0
ბრაიტონი-ვესტ ბრომვიჩი ............ 3:1
ევერტონი-ტოტენჰემი .................. 0:3
ლესტერი-ჩელსი ......................... 1:2
საუთჰემპტონი-უოტფორდი .......... 0:2
სტოკი-მანჩესტერი ...................... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 12-2 | 10 |
| 2.სიტი | 4 | 3 | 1 | 0 | 10-2 | 10 |
| 3.ჩელსი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 9 |
| 4.უოტფორდი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-3 | 8 |
| 5.ტოტენჰემი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-3 | 7 |
| 6.ჰადერსფილდი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-0 | 7 |
| 7.ლივერპული | 4 | 2 | 1 | 1 | 8-8 | 7 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-4 | 7 |
| 9.არსენალი | 4 | 2 | 0 | 2 | 7-8 | 6 |
| 10.სტოკი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 11.საუთჰემპტონი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-4 | 5 |
| 12.ბარნლი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 13.ბრაიტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 14.სუონსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-4 | 4 |
| 15.ევერტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-6 | 4 |
| 16.ნიუკასლი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 3 |
| 17.ლესტერი | 4 | 1 | 0 | 3 | 6-8 | 3 |
| 18.კრ.პალასი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-6 | 0 |
| 19.ბორნმუთი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-8 | 0 |
| 20.ვესტ ჰემი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-10 | 0 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ასტონ ვილა-ბრენტფორდი .......... 0:0
ბოლტონი-მიდლსბრო ................. 0:3
ვულვზი-მილუოლი ..................... 1:0
ქპრ-იფსვიჩი ............................. 2:1
ლიდსი-ბარტონი ........................ 5:0
ნორვიჩი-ბირმინგემი .................. 1:0
პრესტონი-ბარნსლი ..................... 1:1
რედინგი-ბრისტოლი ................... 0:1
სანდერლენდი-შეფილდი ............. 1:2
ფულემი-კარდიფი ...................... 1:1
უენსდი-ნოტინგემი ..................... 3:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

რეალი-ლევანტე ........................ 1:1
ვალენსია-ატლეტიკო .................. 0:0
სევილია-ეიბარი ........................ 3:0
ბარსელონა-ესპანიოლი ............... 5:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 3 | 3 | 0 | 0 | 9-0 | 9 |
| 2.სევილია | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 3.სოსიედადი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| 4.ლეგანესი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 6 |
| 5.ატლეტიკო | 3 | 1 | 2 | 0 | 7-3 | 5 |
| 6.რეალი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-3 | 5 |
| 7.ლევანტე | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| 8.ვალენსია | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 9.ხირონა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 10.ბილბაო | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 11.ხეტაფე | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 12.ბეტისი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 13.ეიბარი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-4 | 3 |
| 14.დეპორტივო | 2 | 0 | 1 | 1 | 2-5 | 1 |
| 15.ესპანიოლი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-7 | 1 |
| 16.სელტა | 2 | 0 | 0 | 2 | 3-5 | 0 |
| 17.მალაგა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 18.ალავესი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| 19.ვილიარეალი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |
| 20.ლას პალმასი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

უესკა-სევილია ბ ........................ 0:0
ბარსელონა ბ-კორდობა .............. 4:0
ხიხონი-ოვიედო ........................ 1:1
ალმერია-ლორკა ........................ 2:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ფრაიბურგი-დორტმუნდი .............. 0:0
გლადბახი-აინტრახტი .................. 0:1
აუგსბურგი-კიოლნი ..................... 3:0
მაინცი-ლევერკუზენი .................. 3:1
ვოლფსბურგი-ჰანოვერი ............... 1:1
ჰოფენჰაიმი-ბაიერნი .................. 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-0 | 7 |
| 2.ჰოფენჰაიმი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 3.ჰანოვერი | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 7 |
| 4.ლაიპციგი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-3 | 6 |
| 5.ბაიერნი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| 6.ჰამბურგი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 7.აუგსბურგი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-3 | 4 |
| 8.გლადბახი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 9.აინტრახტი | 3 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 4 |
| 10.ვოლფსბურგი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-4 | 4 |
| 11.შალკე | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 12.მაინცი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 3 |
| 13.ჰერტა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 14.შტუტგარტი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 15.ფრაიბურგი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-4 | 2 |
| 16.ლევერკუზენი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-8 | 1 |
| 17.ვერდერი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| 18.კიოლნი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-7 | 0 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

არმინია-დუისბურგი .................... 0:4
ინგოლშტადი-აუე ....................... 1:2
კილი-კაიზერი ........................... 2:1

**იტალია. სერია ა**

იუვენტუსი-კიევო ....................... 3:0
სამპდორია-რომა ........................ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 3 | 3 | 0 | 0 | 10-2 | 9 |
| 2.ინტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| 3.ნაპოლი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| 4.მილანი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 5.სამპდორია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 6 |
| 6.ტორინო | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 7.სპალი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 8.ბოლონია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 9.ლაციო | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 10.რომა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 11.კიევო | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| 12.ჯენოა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 13.ვერონა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 14.კროტონე | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 15.სასუოლო | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 16.უდინეზე | 2 | 0 | 0 | 2 | 3-5 | 0 |
| 17.ბენევენტო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 18.ატალანტა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 19.კალიარი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |
| 20.ფიორენტინა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

აველინო-ფოჯა .......................... 5:1
ასკოლი-ნოვარა ......................... 1:2
ბარი-ვენეცია ............................ 0:2
კარპი-სალერნიტანა ................... 1:0
პალერმო-ემპოლი ...................... 3:3
პრო ვერჩელი-კრემონეზე ............ 1:4
სპეცია-ვირტუსი ........................ 2:1
ტერნანა-ჩეზენა ........................ 1:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნიცა-მონაკო ............................ 4:0
კაენი-დიჟონი ............................ 2:1
მონპელიე-ნანტი ........................ 0:1
სტრასბური-ამიენი ..................... 0:1
ტრუა-ტულუზა ........................... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 5 | 5 | 0 | 0 | 19-3 | 15 |
| 2.მონაკო | 5 | 4 | 0 | 1 | 14-8 | 12 |
| 3.ბორდო | 5 | 2 | 3 | 0 | 9-6 | 9 |
| 4.სტ.ეტიენი | 4 | 3 | 0 | 1 | 5-3 | 9 |
| 5.კაენი | 5 | 3 | 0 | 2 | 5-3 | 9 |
| 6.ლიონი | 4 | 2 | 2 | 0 | 9-4 | 8 |
| 7.მარსელი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-7 | 7 |
| 8.ნანტი | 5 | 2 | 1 | 2 | 2-4 | 7 |
| 9.ტულუზა | 5 | 2 | 1 | 2 | 8-11 | 7 |
| 10ანჟე | 4 | 1 | 3 | 0 | 6-4 | 6 |
| 11.ნიცა | 5 | 2 | 0 | 3 | 7-6 | 6 |
| 12.გენგამი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-6 | 6 |
| 13.ამიენი | 5 | 2 | 0 | 3 | 4-7 | 6 |
| 14.ტრუა | 5 | 1 | 2 | 2 | 4-5 | 5 |
| 15.ლილი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-6 | 5 |
| 16.მონპელიე | 5 | 1 | 1 | 3 | 3-5 | 4 |
| 17.სტრასბური | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| 18.დიჟონი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-12 | 4 |
| 19.რენი | 4 | 0 | 2 | 2 | 6-8 | 2 |
| 20.მეცი | 5 | 0 | 0 | 5 | 2-12 | 0 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლანსი-ლორიანი ....................... 2:3

**ჰოლანდია. ეიედივიზიონი**

ტილბურგი-დენ ჰააგი ................. 1:2
ერაკლესი-ფეინოორდი ............... 2:4
აიაქსი-ზვოლე ........................... 3:0
ექსელსიორი-ვიტესი .................. 0:3

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ტონდელა-ფერეირა .................... 2:2
მარიტიმუ-რიუ ავე .................... 1:0
პორტუ-შავიში ........................... 3:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ტოსნო-ანჟი .............................. 2:2
როსტოვი-არსენალი ................... 2:2
სპარტაკი-რუბინი ...................... 1:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-ლოზანა ........................ 1:2
ციურიხი-სტ.გალენი ................... 1:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

მოზერველი-კილმანროკი ............ 2:0
რეინჯერსი-დანდი ..................... 4:1
როსი-პარტიკი ........................... 1:1
სტ.ჯონსონი-ჰიბერნიანი ............ 1:1
ჰართსი-აბერდინი ...................... 0:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ლინცერი-შტურმი ...................... 2:1
აუსტრია-ვოლფსბერგერი ............ 2:2
მატერსბურგი-ადმირა ................ 0:5
სტ.პოლენი-ალტახი ................... 1:2

**ბელგია. ა დივიზიონი**

მუსკრონი-ბრიუგე ..................... 2:1
ანტვერპენი-სტ.ტრუიდენი .......... 1:1
ბევერენი-ეუპენი ....................... 5:1
ვარეგემი-კორტრაიკი ................. 2:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ასტერასი-ლამია ........................ 1:3
ატრომიტოსი-იანინა .................. 0:0
ქსანთი-ოლიმპიაკოსი ................ 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქარაბუქი-ბეშიქთაში ................. 0:1
სივასი-ქაისერი ......................... 0:2
ქონია-ალანია ........................... 0:2
ფენერბახჩე-ბაშაქშეჰირი ........... 2:3

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ლიბერეცი-პლზენი .................... 0:3
ბანიკი-იაბლონეცი .................... 2:2
ბოჰემიანსი 1905-სლოვაცკო ......... 1:0
ზლინი-ტეპლიცე ....................... 2:0
სიგმა-სლავია ........................... 1:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კორონა-სანდეცია ..................... 1:0
სლასკი-ლეგია .......................... 2:1
კრაკოვია-იაგელონია ................. 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

შახტარი-ზორია ......................... 3:1
ვორსკლა-ოლიმპიკი .................. 1:1

**დანია. სუპერლიგა**

ორხუსი-რანდერსი ..................... 1:4

**შვედეთი. ალსვენსკა**

ესტერსტუნდი-ესკილსტუნა ......... 3:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

ბრანი-სონგდალი ....................... 2:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## ჯგუფ Virgin Group-ის ხელმძღვანელი ქარიშხალს ღვინის სარდაფში დაემალა



ბრიტანელმა მილიარდერმა რიჩარდ ბრენსონმა, რომელიც ჰოლდინგ Virgin Group-ის მფლობელია, განაცხადა, რომ ქარიშხალ „ირმას“ გადავლას ღვინის სარდაფში დაელოდება, რომელიც ატლანტის ოკეანეში მის კუთვნილ კუნძულ ნეკერზე მდებარეობს. ეს ინფორმაცია კომპანიის ვებგვერდზეა განთავსებული.

ბრენსონმა აღნიშნა, რომ მას და მის მეგობრებს სტიქიის გადატანაში ღვინო დაეხმარება.

კუნძულზე ამინდს მილიარდერმა „აუტანელი, მაგრამ მშვენიერი“ უწოდა. ღვინის სარდაფში თავმოყრილებს იმედი ჰქონდათ, რომ ქარიშხალი კუნძულს გვერდით ჩაუვლიდა.

ქარიშხალი „ირმა“ ამჟამად ამერიკის ფლორიდის შტატისკენ მიემართება. ამერიკის ქარიშხლების გაფრთხილების ეროვნულმა ცენტრმა ქარიშხალ „ირმას“ მაქსიმალური – მეხუთე კატეგორია მიანიჭა. ქარის სიჩქარე საათში 295 კილომეტრს აღწევს.

## ცნობილი გახდა დონალდ ტრამპის მიერ საუდის არაბეთისგან მიღებული საჩუქრები

ამერიკულმა გამოცემა The Daily Beast-მა გამოაქვეყნა იმ საჩუქრების სია, რომლებიც აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა საუდის არაბეთის ხელისუფლებისგან 2017 წლის მაისში ვიზიტის დროს მიიღო. ეს ქვეყნის მეთაურის პირველი საზღვარგარეთული ვიზიტი იყო.



საერთო ჯამში, დონალდ ტრამპს 83 ნივთი გადასცეს, იტყობინება გამოცემა, რომელმაც საჩუქრების სია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისგან ინფორმაციის თავისუფლების კანონის თანახმად მიიღო. ტრამპის მიერ მიღებულ ნივთებს შორის აღმოჩნდა „ხელოვნების ნიმუში დონალდ ტრამპის გამოსახულებით“, რამდენიმე ხმალი, ხანჯალი და საბრძოლო ამუნიცია, ორი პალტო გეპარდისა და ვეფხვის ტყავისგან დამზადებული, ტრადიციული არაბული კაბა, ტყავის სანდლები და შალის პლედი.

როგორც გამოცემა აღნიშნავს, პირველი ოფიციალური ვიზიტისთვის საუდის არაბეთის არჩევა დონალდ ტრამპის უცნაური გადაწყვეტილება იყო. როგორ წესი, აშშ-ის ახლად არჩეული პრეზიდენტი, პირველ რიგში, კანადაში ან მექსიკაში მიემგზავრება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პარიზის ერთოთახიან ბინაში 130 კატა აღმოაჩინეს

პარიზში მცხოვრებ ქალბატონს, რომელსაც თავის ერთოთახიან ბინაში 130 კატა ჰყავდა, ცხოველების მიმართ სასტიკი მოპყრობა დასდეს ბრალი.

ქალის ერთ-ერთმა მეზობელმა შენიშნა, რომ ის კატის კნუტს ფანჯრის მინას ესროდა და მან პოლიცია გამოიძახა. სამართალდამცავებს კარი 60 წლის ფეხშიშველმა, ძონძებში გამოწყობილმა ქალმა გაუღო. 25 კვადრატული მეტრი ფართობის ოთახი ცხოველებით იყო გადავსებული. იატაკი ექსკრემენტებით იყო დაფარული, ხოლო ჭერში ხვრელი იყო გაკეთებული, რომლის დახმარებითაც კატები სხვენში ადიოდნენ.

სახლში ნახეს კნუტი, რომელსაც სერიოზული დაზიანებები აღენიშნებოდა. ის ვეტერინარულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი მდგომარეობა უარესდებოდა, საბოლოოდ ექიმები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კნუტის გამოჯანმრთელება შეუძლებელი იყო და მისი დაძინების გადაწყვეტილება მიიღეს.



ქალი დააპატიმრეს, თუმცა შემდეგ გაათავისუფლეს და გამოკვლევისთვის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს. საქველმოქმედო ორგანიზაციის თანამშრომლებს ოთხი დღე დასჭირდათ ყველა კატის დასაჭერად და მათი ცხოველთა თავშესაფრებში გადასანაწილებლად.

## კიბო-განდეგილმა ნიჟარას თოჯინას თავი ამჯობინა

წყნარი ოკეანის დაუსახლებელ კუნძულ ჰენდერსონზე ფირზე აღბეჭდეს ახალგაზრდა ქოქოსის კიბო-განდეგილი, რომელიც მოლუსკის ნიჟარის ნაცვლად, როგორც ამას ამ სახეობის წარმომადგენლები აკეთებენ, გადაგდებული თოჯინას თავში ჩასახლდა.



ფოტოსურათი, რომლის ავტორი უცნობია, ინტერნეტში იქნა განთავსებული და ის გაცხოველებული მსჯელობის საგნად იქცა. ორ დღეში სურათმა 400 ათასზე მეტი ნახვა მიიღო.

განვითარების ადრეულ სტადიაზე ქოქოსის კიბოები მოლუსკების ცარიელ ნიჟარებში სახლდებიან. სხვა კიბო-განდეგილებისგან განსხვავებით, ისინი მოგვიანებით ნიჟარას თავიდან იშორებენ და სიგრძეში 40 სანტიმეტრამდე აღწევენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კურილიის კუნძულებზე თავთხელ წყალში გაჭედილი იშვიათი სახეობის ვეშაპი და მისი ნაშიერი გადაარჩინეს

კურილიის კუნძულებზე ორი ჯუჯა ვეშაპი გადაარჩინეს, რომლებიც თავთხელ წყალში გაიჭედნენ და დასაღუპად იყვნენ განწირულნი.



ცხოველები რუსეთის მცირე წყალწყვის გემების სახელმწიფო ინსპექციის თანამშრომლებმა შენიშნეს, რომლებიც კუნძულ კუნაშირთან პატრულირებდნენ. დათვის კონცხის რაიონში თავთხელ წყალში ორი ვეშაპი იწვა: დედა და მისი ნაშიერი.

ინსპექტორებმა ნაკრძალის თანამშრომლები გამოიძახეს, შემდეგ კი ადგილობრივი მცხოვრებლების დახმარებით ღრმა წყალში ჯერ პატარა ვეშაპი გადაიყვანეს, შემდეგ კი – დედა ვეშაპიც. გადარჩენილი ცხოველები იქაურობას არ გაეცალნენ და იქვე დარჩნენ.

– დედა ვეშაპი საკმაოდ დიდია. მისი სიგრძე დაახლოებით სამმეტრნახევარს აღწევს, ხოლო მისი ნაშიერის სიგრძე ორ მეტრამდე იქნება, – განაცხადა სამხრეთ კურილიის ნაწილის უფროსმა ინსპექტორმა დმიტრი სოკოვმა. სანამ დედა ვეშაპის გადარჩენას ვცდილობდით, მისი ნაშიერი არ წასულა, იქვე ტრიალებდა და იცდიდა, თუ როდის გამოვიყვანდით ღრმა წყალში დედამისს.

სოკოვის თქმით, კუნაშირზე ყოველ წელს პოულობენ დაღუპულ ზოლიან და სხვა სახეობის ვეშაპებს. მისი მტკიცებით, მისი 30-წლიანი მუშაობის განმავლობაში პირველად მოხდა, რომ გამორიყული ვეშაპების გადარჩენა მოხერხდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 11 სექტემბრისათვის



**ვერძი** – შემოქმედებითი არეალის გაფართოებაზე ნუ იფიქრებთ. პირად ცხოვრებაზე იზრუნეთ. **კურო** – სიტუაცია თქვენთვის სასარგებლო მიმართულებას მიიღებს. დაწყებული საქმე დაამთავრეთ. **ტყუპები** – სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. დაწყებული საქმის დამთავრება გაგიჭირდებათ, თუმცა სასურველ მიზანს მაინც მიაღწევთ. **კირჩხიბი** – საქმიან პარტნიორთან კონფლიქტია მოსალოდნელი. გაღიზიანებული ხართ. ნუ იჯიუტებთ. **ლომი** – ნაყოფიერ მუშაობაში ხელს შურიანები და არაკეთილმოსურნეები შეგიშლიან. ფინანსური მდგომარეობა არასახარბიელოა. **ქალწული** – სამუშაო თქვენგან მტკიცე დისციპლინასა და ორგანიზებულობას მოითხოვს. მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტას საკმაოდ იოლად შეძლებთ. **სასწორი** – დაძაბული დღეა. სამსახურში უფროსობასთან კონფლიქტი გელით. გამოიჩინეთ კეთილგონიერება და ემოციებს არ აჰყვეთ. **ღრიანკალი** – ყურადღებით იყავით. სამსახურში მცირეოდენი შეცდომაც კი თქვენს კარიერაზე უარყოფითად აისახება. **მშვილდოსანი** – თავს დაცულად და მშვიდად გრძნობთ. საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. **თხის რქა** – შესაძლოა ძველმა მეგობარმა გაწყენინოთ. კარგი იქნება, თუ შექმნილი სიტუაციიდან სათანადო დასკვნებს გამოიტანთ. **მერწყული** – ახალი საქმის დაწყება არ ღირს. შემოთავაზებულ წინადადებას ნუ დათანხმდებით. საეჭვო ხალხთან ურთიერთობას პლანეტები არ გირჩევენ. **თევზები** – თავი შეიკავეთ საქმიანი მოლაპარაკებებისაგან. ფინანსებს გაუფრთხილდით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

### სპორტი

## ბუმ კარლსენი დაამარცხა. კოვალიოვი დრესკოდის გამო ტურნირზე არ დაუშვეს

თბილისში მიმდინარე მსოფლიო თასის მესამე წრის პირველი დღე უსიამოვნო ინციდენტით დაიწყო. კანადის სახელით მოასპარეზე ანტონ კოვალიოვს მთავარმა მსაჯმა ტომაშ დელეგამ სამართლიანი შენიშვნა მისცა არასათანადო ჩაცმულობისთვის (სატურნირო რეგლამენტით გათვალისწინებული დრესკოდის დარღვევის გამო). არბიტრმა კანადელ დიდოსტატს 15 წუთი მისცა დრო, რათა ის შესაბამისად ჩაცმული მისულიყო პარტიაზე. შენიშვნის შემდეგ კოვალიოვმა სათამაშო დარბაზი დატოვა და აღარ დაბრუნდა. გამოუცხადებლობის გამო წაგება მიესაჯა.



ბაადურ ჯობავა

აღსანიშნავია, რომ 16 წყვილიდან 12-მა გართულებებს აარიდა თავი და მშვიდობიანად დაშორდა ერთმანეთს, მათ შორის ფრედ დაასრულა შეხვედრა შავი ფიგურებით მოთამაშე ბაადურ ჯობავამ რუსეთის ნაკრების წევრ იან ნეპომნიაშისთან. ჯობავა პარტიაზე საბრძოლო განწყობით მივიდა. თუმცა, შავი ფიგურებით ყაიმი ნამდვილად ჩინებული შედეგია.

ტურის მთავარ მოულოდნელობად აქამდე დანაკარგის გარეშე მოასპარეზე კარლსენის მარცხი გახდა ბუ სიანჩჟისთან. თეთრი ფიგურებით მოთამაშე ჩემპიონის მცირე უზუსტობები კარგად გამოიყენა ჩინელმა დიდოსტატმა და დამაჯერებლად გაიმარჯვა.

საჭადრაკო ოლიმპიადების მრავალგზის გამარჯვებულმა ლევონ არონიანმა იოლად დაამარცხა 2017 წლის ევროპის ჩემპიონი მაქსიმ მატლაკოვი.

მსოფლიოს საჭადრაკო რეიტინგ-სიის მეშვიდე ნომერმა უესლი სომ კი ესპანელი დიდოსტატი ფრანცისკო ვალეხო დაჯაბნა.

დიდ ინტერესს იწვევდა ორი „მეფის“: ექსგვირგვინოსანი ვლადიმირ კრამნიკისა და უგვირგვინო ვასილი ივანჩუკის დაპირისპირება. პარტია დიდი ხნის მეტოქეებს შორის მშვიდობიანად დასრულდა.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## სკანვორდი



1. ხორციანი კორკოტი; 2. აზრი, ჩანაფიქრი; 3. სტალონეს კინოროლი; 4. პერიოდული გამოცემები; 5. თეთრი საკვები სითხე; 6. გარიჟრაჟი; 7. ლიტერატურის თხრობითი ჟანრი; 8. წილი ბიზნესში; 9. სახელმწიფო აფრიკაში; 10. ნიშნის მოგების გამომხატველი შორისდებული; 11. ეგვიპტელთა მზის ღმერთი; 12. ამხანაგობა, ხელოსანთა გაერთიანება; 13. მეფისდროინდელი ყაჩაღი გურიაში; 14. აშშ-ს სამხედრო უწყება; 15. ... დელონი; 16. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა; 17. ჭადრაკის ფიგურა; 18. სასმისი; 19. ნაბიჯი ბალეტში; 20. კურორტი აშშ-ში; 21. ვენესა ...; 22. საწინააღმდეგოს აღმნიშვნელი წინსართი; 23. ტყავის თხელი ფენა რისამე ზედაპირზე; 24. ბეთჰოვენის სონატა; 25. საზეიმო ხასიათის ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები; 26. წრეწირის ნაწილი; 27. სახელმწიფოს დიპლომატიური მიმართვა მეორე სახელმწიფოსადმი; 28. სისხლის სამართლის დანაშაული; 29. სპორტული შეჯიბრების დაწყების მომენტი; 30. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 31. ხანა, ეპოქა; 32. ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა სოფელი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. რევერსი; 2. კიმონო; 3. ჩატურანგა; 4. უჯარმა; 5. რელიკვია; 7. „ზარა“; 11. სინდიყი; 13. „მარტინი“; 15. ღალღა; 16. „ჰერტა“; 18. ალიბი; 19. იტილი.

**თარაზულად:** 6. ეროზია; 8. ციპრასი; 9. „იზაბელა“; 10. რომანსი; 12. გოთუა; 14. საცივი; 17. გერიატრია; 20. გეიმერი; 21. ალღუმი; 22. ბიბლია; 23. ფართინგი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. გორგოძე; 2. ფოტოლიზი; 3. სიგნატურა; 4. ფერშალი; 5. მეტრანპაჟი; 10. ლუგელა; 11. ბაბლუანი; 12. კამპუსი; 13. შარიათი; 16. ჯალამბარი; 17. გრიზაილი; 19. აფშერონი; 21. ბოლტი; 23. ვარდი.

**თარაზულად:** 6. მორფოლოგია; 7. „მეეზოვე“; 8. ჯოყოლა; 9. ტალახაძე; 14. ნარიყალა; 15. ჰემინგუეი; 18. ტონგა; 20. ღრუბელი; 22. დივიზია; 24. „ბოჟოლე“; 25. ფავორიტი; 26. ნადალი.

# ზუბინ მეტა საქართველოში ჩამოვიდა

მსოფლიოში აღიარებული დირიჟორი, მაესტრო ზუბინ მეტა საქართველოში ჩამოვიდა. ეს მისი პირველი ვიზიტია ჩვენს ქვეყანაში. ზუბინ მეტას საქართველოში ჩამოსვლა წინანდალში 14 სექტემბერს დაგეგმილ კონცერტთან არის დაკავშირებული.

როგორც კონცერტის ორგანიზატორები აცხადებენ, ამ კონცერტით დაიწყება მზადება საერთაშორისო კლასიკური მუსიკის ფესტივალისთვის, რომელიც 2019 წლიდან წინანდალში ჩატარდება. 50 წლის განმავლობაში ისრაელის ფილარმონიულმა ორკესტრმა 3000-ზე მეტი კონცერტი გამართა მსოფლიოს ყველა კონტინენტზე. მათ რიცხვს კი რამდენიმე დღეში საქართველოც შეემატება.



ამ დღეს წინანდლის ახალი 1000-ადგილიანი ამფითეატრი საზეიმოდ გაიხსნება. კონცერტს მსოფლიოში ცნობილი ქართველი პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი გამართავს. მასთან ერთად დაუკრავს ისრაელის ფილარმონიული ორკესტრი, რომელსაც ზუბინ მეტა უხელმძღვანელებს.

ხატია ბუნიათიშვილის, ზუბინ მეტასა და ისრაელის ფილარმონიული ორკესტრის კონცერტამდე ამ სივრცის კურთხევა გაიმართა. ერთსაათიანი კონცერტი ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულმა ორკესტრმა გამართა. ორკესტრს ნიკოლოზ რაჭველმა უდირიჟორა. საღამოზე ზაქარია ფალიაშვილის, ალექსი მაჭავარიანის, ბიძინა კვერნაძის, გია ყანჩელის, ჟორჟ ბიზესა და იგორ სტრავინსკის ნაწარმოებები შესრულდა.

# კინომსახიობთა თეატრში ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი წარადგინეს



მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი წარადგინეს. რეჟისორი გიორგი სიხარულიძე კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ დასს პირადად წარუდგინა. შეხვედრას თეატრის თანამშრომლები და მსახიობები დაესწრნენ. შეხვედრას არ დასწრებია თეატრის ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთი დოლიძე.

ახალი სამხატვრო ხელმძღვანელის წარდგენა კინომსახიობთა თეატრში მასმედიისთვის დახურული აღმოჩნდა, თუმცა კულტურის მინისტრმაც და ახალმა სამხატვრო ხელმძღვანელმაც ჟურნალისტებისთვის კომენტარები შეხვედრის დასრულების შემდეგ გააკეთეს.

– ძალიან მშვიდ და კონსტრუქციულ ვითარებაში ჩაიარა ჩვენმა შეხვედრამ. ყველას ჰქონდა საშუალება საკუთარი აზრის, დამოკიდებულების გამოთქმის. ეს ალბათ ბუნებრივიც არის, რომ გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა სხვადასხვა საკითხთან მიმართებით არსებობს როგორც სამინისტროსა და თეატრში, ისე შიგნით დასში, თუმცა, ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ ეს აზრთა სხვადასხვაობა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს რაღაც დაპირისპირებას, – განაცხადა მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ.

– სურვილის შემთხვევაში ყოფილ სამხატვრო ხელმძღვანელ ქეთი დოლიძეს თეატრში რეჟისორის თანამდებობაზე საქმიანობის გაგრძელება შეუძლია. უპირველეს ყოვლისა, ქალბატონ ქეთიზეა დამოკიდებული, თუ რა არჩევანს გააკეთებს და შემდეგ უკვე დავფიქრდებით. ერთგვარი იურიდიული ფორმალობაა. თუ როგორ და რანაირად გადაწყდება, ამას მომავალში ვნახავთ, – აღნიშნა კინომსახიობთა თეატრის ახალმა სამხატვრო ხელმძღვანელმა გიორგი სიხარულიძემ.

– ქეთი დოლიძის საკითხი დაისვა კრებაზე და გადაწყვეტილია ყველანაირად, ისედაც სხვანაირი უფლება ამის არც გვქონდა. ქეთი დოლიძე, რა თქმა უნდა, რჩება თეატრში. ის გააგრძელებს მუშაობას, როგორც რეჟისორი და მხოლოდ ტექნიკური პრობლემებია, შტატი, ხელშეკრულება და ა.შ. გარდა ამისა, ის არის ფესტივალ „საჩუქრის" ხელმძღვანელი, რომელსაც ატარებს თუმანიშვილის თეატრი. ეს არის თეატრის პროექტი. ამას ხელმძღვანელობს ქეთი დოლიძე და უხელმძღვანელებს ბოლომდე, – განაცხადა მსახიობმა და რეჟისორმა ზურაბ გეწაძემ, რომელიც კინომსახიობთა თეატრის დირექტორია.

გიორგი სიხარულიძე კინომსახიობთა თეატრში მისვლამდე ქუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შემდეგ ამ პოსტის დაკავების სურვილი ქეთი დოლიძემ და გიორგი სიხარულიძემ გამოთქვეს, სარეკომენდაციო საბჭომ კი უპირატესობა გიორგი სიხარულიძეს მიანიჭა.

# სალომე დოლიძე გოგოს დედა გახდა



მუსიკალური პროექტების „ნუცას სკოლის" მონაწილე და „ახალი ქართული ხმის" ფინალისტი სალომე დოლიძე დედა გახდა. სალომეს პირველი შვილი გოგონა შეეძინა. პატარას ანინე დაარქვეს. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს და ერთობლივ ფოტოებსაც ინტერნეტში აქვეყნებს.

სალომე დოლიძე „ახალ ქართულ ხმაში" ნოდიკო ტატიშვილის გუნდში იყო და ფინალამდეც მიაღწია, თუმცა პროექტში გამარჯვება ქეთა თოფურიას გუნდის წევრმა გიორგი ნადიბაიძემ მოიპოვა.

სალომე დოლიძე სპორტსმენ მამუკა არაბულზე იანვარში გათხოვდა. მათ დაქორწინება ერთმანეთის გაცნობიდან მალევე გადაწყვიტეს. ისინი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დალოცა. წყვილის გრანდიოზულ ქორწილს უამრავი ქართველი ვარსკვლავი დაესწრო.

# ხოდაშენის დედათა სამონასტრო კომპლექსი უმძიმეს დღეშია



ზემო ხოდაშნის დედათა მონასტრის კომპლექსი, რომელიც ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ხოდაშენში მდებარეობს, უმძიმეს დღეშია. სამონასტრო კომპლექსის ფოტოები ინტერნეტში ვრცელდება.

სამონასტრო კომპლექსი XIII საუკუნეს მიეკუთვნება და ტყეში მდებარეობს. კომპლექსში შედის წმიდა ნიკოლოზის ეკლესია, სასახლე, სატრაპეზო, კოშკი-სამრეკლო, საცხოვრებელი ნაგებობები და მარანი. კომპლექსის ყველა ნაგებობა სხვადასხვა დონეზეა განლაგებული და არაწესიერი მოხაზულობის გალავანი აქვს შემოვლებული.

ინფორმაციას სამონასტრო კომპლექსის სავალალო მდგომარეობის შესახებ დეკანოზი ილია ჭიღლაძე ავრცელებს:

– ზემო ხოდაშნის წმიდა ნიკოლოზის მე-13 საუკუნის სამონასტრო კომპლექსი ახმეტის მუნიციპალიტეტში. ფოტოები ელდარ ჭიჭიაშვილისა. უნიკალური სამონასტრო კომპლექსი უმძიმეს დღეშია...

# ერლომ ახვლედიანის „კოღო ქალაქში" ფრანგულად ითარგმნა




ცნობილი ქართველი მწერლის ერლომ ახვლედიანის რომანი „კოღო ქალაქში" ფრანგულად ითარგმნა.

თარგმანი ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით მომზადდა. რომანი ფრანგულად რუსუდან თურნავამ და იზაბელ რიბადო დიუმამ თარგმნეს.

„კოღო ქალაქში" ერლომ ახვლედიანის უკანასკნელი რომანია. ნაწარმოები 1960-იანი წლებიდან იწერებოდა და მხოლოდ 2010 წელს გამოიცა. რომანმა ლიტერატურული პრემია „საბა" მიიღო წლის საუკეთესო რომანისთვის.

# „მარაო" ახალ სეზონს იწყებს




„მარაო" რამდენიმე დღეში ახალ სატელევიზიო სეზონს დაიწყებს. როგორც არხის ოფიციალურ გვერდზე გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, 18 სექტემბერს ეთერში გადაცემა „უხერხული კითხვები" დაბრუნდება. მისი წამყვანი კვლავაც უცვლელი იქნება. გადაცემას ნიკა ხაჩიძე წაიყვანს. განახლებული გადაცემის პირველი სტუმარი კი რუსთაველის თეატრის მსახიობი რუსკა მაყაშვილი იქნება:

– 18 სექტემბერს „უხერხული კითხვები" ბრუნდება! მსახიობ რუსკა მაყაშვილის ძალიან გულახდილი პასუხები უხერხულ კითხვებზე! რუსკას უცნობი ამბები, რომლებსაც პირველი თქვენ მოისმენთ! – ნათქვამია „მარაოს" ოფიციალურ განცხადებაში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# „ნიჭიერის" მონაწილე ნუკრი შავლიძე გარდაიცვალა



სახალხო პროექტ „ნიჭიერის" მონაწილე, მომღერალი ნუკრი შავლიძე 22 წლის ასაკში გარდაიცვალა. გარდაცვალების მიზეზად ავადმყოფობა სახელდება.

ბათუმელი მომღერალი „ნიჭიერში" 2013 წელს მონაწილეობდა. მისმა გამოჩენამ პროექტში დიდი გამოხმაურება და დაინტერესება გამოიწვია და მას ბერას ორეული უწოდეს.

ინფორმაცია ნუკრის გარდაცვალების შესახებ შოთო სიხარულიძემ სოციალურ ქსელში გაავრცელა:

– გარდაიცვალა ნიჭიერის მონაწილე, ბათუმელი მომღერალი ნუკრი შავლიძე. „შოთო სიხარულიძე ქართველი ემიგრანტები" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, თანაუგრძნობს და სამძიმარს უცხადებს ოჯახსა და ახლობლებს, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი ლამაზი სული!

## კალეიდოსკოპი

### გარდაცვლილმა გოგონამ რვა ადამიანს სიცოცხლე შეუნარჩუნა

დიდ ბრიტანეთში ორგანოებმა, რომლებიც გარდაცვლილმა 13 წლის გოგონამ გაიღო, რვა ადამიანი გადაარჩინა. ამ ინფორმაციას ბი-ბი-სი ნიუსი ავრცელებს.

ჯემაიმა ლაიზელი 2012 წელს თავის ტვინის არტერიის ანევრიზმის შედეგად გარდაიცვალა. გოგონა მდგომარეობის გაუარესების შემდეგ ქალაქ ბრისტოლის ბავშვთა საავადმყოფოში მოაავსეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. გოგონა ოთხი დღის შემდეგ გარდაიცვალა.



მისი გული, წვრილი ნაწლავი, კუჭქვეშა ჯირკვალი და ფილტვები ოთხ ავადმყოფს გადაუნერგეს. ღვიძლი ნაწილებად დაიყო, რომლებიც ორ პაციენტს გადაუნერგეს. გოგონას თირკმლებმა ორი ადამიანი გადაარჩინა.

ბრიტანეთის ჯანმრთელობის სამსახურის მონაცემებით, ლაიზელი ქვეყანაში ორგანოების პირველი დონორია, რომელიც ამდენ ადამიანს დაეხმარა.

გოგონას მშობლების მტკიცებით, ჯემაიმა ორგანოების დონორობაზე მას შემდეგ დათანხმდა, როდესაც მას უამბეს მათი ოჯახის ნაცნობზე, რომელიც დონორად იყო დარეგისტრირებული, მაგრამ, ავტოკატასტროფაში დაღუპვის შემდეგ, მისი ორგანოების გამოყენება შეუძლებელი გახდა.

### პრინცი ჯორჯი სკოლაში წავიდა



ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ პრინც ჯორჯის – კემბრიჯის ჰერცოგის უილიამისა და ჰერცოგინია კეტრინის შვილის პირველი სასწავლო დღე აღბეჭდა.

ოთხი წლის ჯორჯს თან ახლდა მამამისი, პრინცი უილიამი. სკოლაში ისინი სხვა ბავშვებზე გვიან მივიდნენ. ეს დაკავშირებული იყო არა სატრანსპორტო სირთულეებთან, არამედ, უსაფრთხოების ღონისძიებებთან.

აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთში დაწყებითი განათლება ოთხი-ხუთი წლის ასაკიდან იწყება, ხოლო ახალი სასწავლო წლის დაწყება ყოველ კონკრეტულ სკოლაზეა დამოკიდებული. კერძოდ, ლონდონის ტომას ბატერსის პრესტიჟულ სკოლაში სწავლა 7 სექტემბერს დაიწყო.

პატარა პრინცი, რომელსაც ეზოში სკოლის დირექტორი დახვდა, სერიოზულად გამოიყურებოდა და აშკარად ეტყობოდა ნერვიულობა. მას ეცვა ლურჯი ფორმა – ცისფერი პერანგი, სკოლის ჯემპრი წითელი ლოგოტიპით, ლურჯი შორტი-ბერმუდი, წინდები და შავი ფეხსაცმელი თასმების გარეშე.

იმის გამო, რომ თავს შეუძლოდ გრძნობდა, ასეთ მნიშვნელოვან დღეს ვერ დაესწრო ჯორჯის დედა, ჰერცოგინია კეტრინი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

ასოციაცია მესხეთის პრეზიდიუმი თანაუგრძნობს ასოციაციის ვიცეპრეზიდენტ უშანგი დალალიშვილს სახელოვანი ძმის

**ჯემალ დალალიშვილის**

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

# პროგრამა

ოთხშაბათი
11 სექტემბერი

06.00 მუსიკა პირველზე 06.30 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" 07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი" გენიოსი ბიჭუნა" 09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.10 "მოამბე" 09.15 ტ/სერ. "**გამარჯვებული ვიქტორია**" 10.00, 03.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 12.30 ევრობასკეტ- 2017 13.00, 04.10 დღის მხ/ფ "**მულენ რუჟი**" 15.00 დოკ/ფ "რა არის ამერიკის ქვეშ" 16.15 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" 17.00 ტ/სერ. "**ოფისი**" 18.30 "ტელებლოგი" 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 20.40 "სპორტის დაფა" 21.00 ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" 22.00 ტ/სერ. "**მთავრობა**" 23.00 "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" 23.20 მხ/ფ "**ტურისტი**" (ა.ჯოლი) 01.00 მხ/ფ "**მაიამის პოლიცია**"(ჯ.ფოქსი)

06.30 სერ. "**ღირსების სახელით**" 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 10.10 სერ. "**პატარძალი**" 11.20 სერ. "**ფიცი**" 12.30 იმედის დღე 14.40 სერ. "**ელიფი**" 16.00 სერ. "**ოჯახური პორტრეტი**" 17.35 სერ. "**ხაფანგი**" 18.50, 19.03 სერ. "**მოპარული ცხოვრება**" 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "**ძმა**" 22.30 სერ. "**ელ პრინსიპე**" 00.00 მხ/ფ "**სასიკვდილო დარტყმა**" 01.30 მხ/ფ "**ელიტარული საზოგადოება**" 03.15 მხ/ფ "**როცა ჰარი შეხვდა სალის**" 04.45 მხ/ფ "**ბეილის თავგადასავალი: შობის გმირი**"

05.00 სერ. "**კაცი**" დასკვნითი 06.00, 18.50 სერ. "**დესპოტი ქმარი**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" 15.30 სერ. "**წარსულის ჩრდილი**" 16.55 სერ. "**უსასრულო მოლოდინი**" 20.03 სერ. "**დედამთილი**" 22.00 მხ/ფ "**რობინზონი და 9 პარასკევა**" 00.00, 01.00 მხ/ფ 01.30 კურიერის დაიჯესტი 02.00 მხ/ფ

08.00 ან/ფ "ვარსკვლავური ომები" 09.00, 19.00 სერ. "**ცისფერი სისხლი**" 11.00 სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" 13.00 სერ. "**ძვლები-5**" 17.00 სერ. "**სიმართლის ანატომია 3**" 21.00 სერ. "**სპირალი**" 22.30 მხ/ფ "**სახის გარეშე**" 01.00 მხ/ფ "**შავი მოქცევა**" 03.00 მხ/ფ "**უტეხი**" 04.55 მხ/ფ "**ნიქსონი**"

იბერია 08.00 ანანდა 08.05 მულტფილმი 08.15 მულტ/სერ. "ლეკვი ჩემს ჯიბეში" 08.40, 21.00 სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" 09.40, 22.00 სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" 10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55 ტელემარკეტი 11.00, 13.00, 17.00, 19.00, 00.00 ახალი ამბები 12.00, 3.20 ბიზნესკოდი 14.30 ექიმის საათი 15.00, 02.20 მოდი გავეყაროთ 16.00, 4.00 ფაბრიკა 18.30 სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" 19.55 მე რომ ვიყო 20.00, 5.00 თოქ შოუ "ცენზურის გარეშე" 23.00 პანორამა 00.30 მხ/ფ

06.15 ღვთის სახლი 06.40 პატერიკი-ბოროტების ფესვი 06.45 ქართული ალბომი "ანტონ ფურცელაძის შთამომავლები" 07.05 ჩვენი საგანძური " 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს. პაუზა 08.30 დ/ფ "ველური ბუნება-ყურებიანი სელაპის ბაგა" 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.25 სადღესასწაულო სახარების 10.35 დ/ფ "ველური ბუნება-ცხოველების მოყვარულები" 11.10 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "**სამანიშვილის დედინაცვალი**" 13.30 ან/ფ "ალისა საოცრებათა ქვეყანაში" 14.40 გამოყენებითი ხელოვნება "მინანქარი" 15.05 ქართული ან/ფ 15.25 დ/ფ "ველური ბუნება-ავსტრალია" 15.50 სპექტაკლი "**სამეფო ოჯახი**" 17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო-მეოთხე ნეტარება 18.10 ერთი დღე მონასტერში 19.00, 22.00, 00.10 სიახლენი 19.20 მიწათმოქმედი "სათბურები" 19.40 საქართველო ევროპულ ოჯახში 20.25 თვენი "წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთა" 20.40 ძილი ნებისა "ეკლესიური ცხოვრება, ჩექმებიანი კატა" 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.20 პატერიკი-ღირსი მამა კვირიაკესთან 21.30 საეკლესიო აღმშენებლობა "წინწყაროს წმინდა ლაზარეს სახელობის ტაძარი" 21.55 საეკლესიო კალენდარი სიახლენი 22.15 შარავანდედი "შალვა ამირანაშვილი, ეკატერინე ჭავჭავაძე" 22.40 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები "წინასწარმეტყველი ესაია" II ნაწ. 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "მარიამ დედოფალი" 23.45 ღვთის სახლი "შიდა ქათლი" 23.55 შვიდგზის ლოცვა 00.00 საეკლესიო კალენდარი სიახლენი 00.30 ეპოქა და ადამიანები "დავით სარაჯიშვილი"

მაესტრო 08.00 - 03.00 ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) 07.15 - 02.15 სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) 07.30- 02.30 ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) 07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00 ბიზნესი 21.00 მთავარი გამოშვება

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**11 სექტემბრისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.4618

ევრო — 2.9702

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2451

100 რუსული რუბლი — 4.3150

**ამინდის პროგნოზი 11 სექტემბრისთვის**




## 12 სექტემბრიდან




**ქართული დეტექტივი**
**მე-15 ტომი**

მაია ბურჭულაძე

**უფასო ბილეთი წარსულში**

**ორშაბათის სიზმარი**

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 13 სექტემბრიდან

**ქართული ჰაგიოგრაფია**

წიგნში თავმოყრილია სამი ჰაგიოგრაფიული ძეგლის — „შუშანიკის წამების“, „აბოს წამებისა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ — პარალელური ტექსტები, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ძველ ქართულ ორიგინალს, ხოლო მეორე — ახალ ქართულ ენაზე შესრულებულ უზუსტეს ვერსიას.




**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## 14 სექტემბრიდან




**ელენე ახვლედიანი**

მაღალი პოლიგრაფიული დონით შესრულებული ალბომი არაჩვეულებრივი საჩუქარია მხატვრის თაყვანისმცემლებისთვის და არამარტო მათთვის.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## 15 სექტემბრიდან

**ედუარდ ლირი**

**ბუკნაქო და ფისუნია**




**კრებულში შესულ ყოველ ლექსს განთქმული მხატვრის, რობერტ ინგპენის, ხალისიანი ილუსტრაციები ამშვენებს.**

**წიგნი ბრწყინვალე საჩუქარია პატარებისთვის, რომელიც მათ კიდევ მრავალი საუკუნის განმავლობაში განუვითარებს მათ წარმოსახვის უნარს.**

**ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი**

## პოდიუმზე სინდი კროუფორდის ქალიშვილის დებიუტი შედგა



სინდი კროუფორდის ქალიშვილის, 16 წლის კაია გერბერის დებიუტი შედგა პოდიუმზე, ნიუ იორკის მოდის კვირეულზე. მან მონაწილეობა მიიღო მოდის სახლ კელვინ კლაინის „2018 წლის გაზაფხული-ზაფხულის“ კოლექციის ჩვენებაში.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც კაია გერბერი პოდიუმზე გამოვიდა, როგორც მოდელი. ადრე ის მხოლოდ ფოტოსესიებში იღებდა მონაწილეობას. საკუთარ ინსტაგრამში გოგონამ მადლიერება გამოხატა რაფ სიმონსის, მარკის კრეატიული დირექტორის მიმართ.

— სიტყვები არ მყოფნის იმის გადმოსაცემად, თუ რას განვიცდი. უსაზღვროდ მიყვარხარ, რაფ! — დაწერა კაიამ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## იუმორი

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— ყველაზე საშინელი კუჭის აშლა და სკლეროზია.

— რატომ?

— გარბიხარ, მაგრამ სად, არ იცი.

●●●

დაქალები სექსზე საუბრობენ. ერთი ამბობს:

— მე კლასიკური მომწონს.

მეორე:

— მე ძაღლურად.

მესამე:

— მე კი როდეო.

— ეგ რომელია? — დაინტერესდნენ დაქალები.

— მამაკაცს ზევიდან გადავაჯდები და ვეუბნები, რომ შიდსი მაქვს. ამის მერე მთავარია, არ გადმოვარდე.

●●●

მოხუცი შვილიშვილთან სტუმრად მოსული ახალგაზრდების ცეკვას უყურებს და ბოლოს ეკითხება:

— აი რაია, ბაბუა?

— ცეკვაა, ბაბუ.

— ამნაირ ცეკვაში, ბაბუა, ექვსი შვილი მყავს გაკეთებული...

●●●

კაცმა ცოლი მოიყვანა. პირველ ღამეს ქმარმა ცოლს მუცელზე დახედა და ამბობს:

— ეს ის ნაკვეთია, სადაც მალე კარტოფილს დავთესავ...

გადაბრუნდა და დაიძინა.

მეორე ღამეს ქმარმა ამჯერად ზურგზე დახედა და ამბობს:

— ეს ის ნაკვეთია, სადაც მალე კომბოსტოს დავთესავ...

გადაბრუნდა და დაიძინა.

დადგა მესამე ღამე და ამჯერად ცოლი ამბობს:

— ფერმერო, იცოდე, თუ ახლა სტაფილოს არ დათესავ, ნაკვეთს გავაქირავებ...

●●●

პატრული მანქანას აჩერებს და მძღოლს ეკითხება:

— უსაფრთხოების ღვედი რატომ არ გიკეთიათ?

— მერე, განა არ გაგიხარდათ?

●●●

ქალმა კერძო დეტექტივი დაიქირავა და ეუბნება:

— თუ შეიძლება, თვალი ადევნეთ ჩემს ქმარსა და იმ ქალს და შეეცადეთ გაარკვიოთ, რა ნახა იმ ქალმა ასეთი ჩემს მეუღლეში.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## 7 სექტემბრიდან




**რჩეული ქართული ზღაპრები**

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

## საქართველოს ნაკრებს ევრო 2020-ზე მოხვედრის შანსი გაეზარდა



ერთა ლიგის ფორმატი დამტკიცდა, რითიც უეფამ ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად ნაკრებ გუნდებს დამატებითი შანსი მისცა.

საქმე ის არის, რომ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის გარდა, ქვეყნები ერთა ლიგას ითამაშებენ, რომელიც ამხანაგურ მატჩებს ჩაანაცვლებს. პარალელურად, 4 ლიგაში განაწილებული გუნდები, ამავდროულად, ევრო 2020-ზე მოსახვედრადაც იბრძოლებენ.

ფორმატი ასეთია: ერთა ლიგა სტარტს 2018 წლის სექტემბრიდან აიღებს და მასში მონაწილეობას 55 ქვეყნის ასოციაცია მიიღებს, რომელიც 4 ლიგაში განაწილდება. განაწილება კი მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის დასრულების (2017 წლის 11 ოქტომბერი) შემდეგ რეიტინგში არსებული მდგომარეობის მიხედვით მოხდება. პლეიოფებში შესაძლო ცვლილებები ერთა ლიგაზე არ იმოქმედებს.

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს ნაკრები ბოლო, დ ლიგაშია, სადაც ჩვენს ნაკრებთან ერთად ლიტვის, ბელარუსის, სომხეთის, მაკედონიის, ფარერის კუნძულების, ლუქსემბურგის, ლატვიის, მოლდოვის, ყაზახეთის, ლიხტენშტეინის, ანდორის, მალტის, კოსოვოს, სან მარინოსა და გიბრალტარის გუნდები არიან. ეს 16 გუნდი ასევე 4 ჯგუფში განაწილდება.

დ ლიგის გამარჯვებული გუნდი კი 2020 წლის ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობას გაინაღდებს. ასევე მოხვდებიან ევროპის ჩემპიონატზე ა, ბ და ც ჯგუფის გამარჯვებულები.

უფრო ზუსტად კი ასეა: ევროპის ჩემპიონატის მონაწილე 20 გუნდის ვინაობა ევროპის საკვალიფიკაციო ეტაპიდან გაირკვევა, რომელიც 2019 წელს გაიმართება. ხოლო დანარჩენ 4 ადგილს ერთა ლიგის ოთხი ლიგის გამარჯვებული გუნდები დაიკავებენ. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული ჯგუფის გამარჯვებული უკვე ავტომატურად შესარჩევი ეტაპიდანაა მოხვედრილი ევროპის ჩემპიონატზე, მის ადგილს რეიტინგში მის შემდგომ მდგომი გუნდი დაიკავებს.

**ლიგები რეიტინგის მიხედვით კი ასე გადანაწილდა:**

ა ლიგა: გერმანია, პორტუგალია, ბელგია, ესპანეთი, შვეიცარია, საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, პოლონეთი, ხორვატია, ისლანდია, უელსი.

ბ ლიგა: რუსეთი, ჩრ. ირლანდია, სლოვაკეთი, შვედეთი, ჰოლანდია, უკრაინა, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ავსტრია, თურქეთი, ირლანდია, დანია, უნგრეთი.

უკრაინა და რუსეთი შესაძლოა იყვნენ ერთ ლიგაში, თუმცა ერთ ჯგუფში არ მოხვდებიან.

ც ლიგა: სლოვენია, ალბანეთი, მონტენეგრო, სერბეთი, შოტლანდია, ჩეხეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, ბულგარეთი, ისრაელი, ნორვეგია, კვიპროსი, ფინეთი, ესტონეთი, აზერბაიჯანი. ც ლიგაში ერთ ჯგუფში 3 გუნდი იქნება, ხოლო 3 ჯგუფში გუნდები 4-4 გადანაწილდა.

ერთა ლიგის ჯგუფური ეტაპი 2018 წლის სექტემბერში დაიწყება. წილისყრის თარიღი ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. შტატი აშშ-ში; 4. ეკლებიანღეროიანი ტროპიკული მცენარე; 7. ლაბორატორიული დანაყოფებიანი ჭურჭელი; 9. მათემატიკური დებულება, რომელსაც დამტკიცება სჭირდება; 10. ლოგინის ნაწილი; 12. პოლიციის უფროსი ზოგ ქვეყანაში; 16. ღოღნაშოს სახეობა; 17. რისამე ჩამოთვლა; 18. სხვადასხვა ჯიშის ცხოველების შეჯვარება; 20. ლითონის ფულის უკანა მხარე; 21. ლანგარი; 22. კავშირი, ურთიერთობა.

**შვეულად:** 1. კუდიანი ვარსკვლავი; 2. მხარე დასავლეთ საქართველოში; 3. გადასატანი ქეჩის კარავი; 5. ბოლქვიანი მცენარე (ყვავილი); 6. კურორტი ხაშურის რაიონში; 8. ურანის თანამგზავრი; 11. ადგილი რაიმე დამანგრეველი ძალის კერის თავზე; 13. სანთელი; 14. ელექტრული გამტარობის ერთეული; 15. სასტამბო შრიფტი; 19. ბერძნული ანბანის ასო.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

